# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 8 სექტემბერი. 2017 წ. №182 (8319), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## მაოხრებელი გზირი

# რა ელის



④

# „ჭკვიან გიჟს“?!

## გერმანიაში ტყვედ მყოფ ვეტერანთა საყურადღებოდ!



**გერმანიაში ტყვედ ჩავარდნილ ქართველ ვეტერანებზე 2500 ევროს კომპენსაციის გაცემის ვადა 30 სექტემბერს იწურება.** ამის შესახებ ინფორმაციას ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური ავრცელებს.

**„საბჭოთა ჯარისკაცებს, ქართველ ვეტერანებს 2500 ევროს ოდენობით კომპენსაციის მიღების ვადა 30 სექტემბრამდე აქვთ. საუბარია, 1941 წლის 22 ივნისიდან 1945 წლის 8 მაისამდე პერიოდში გერმანიაში ტყვედ ჩავარდნილ ადამიანებზე.**

**კომპენსაციის გაცემის თაობაზე, მიმდინარე წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილით მიმართა გერმანიის ცენტრალური მომსახურებისა და საჯარო ქონების საკითხთა ფედერალურმა სამინისტრომ, გერმანიის ფინანსთა ფედერალური სამინისტროს დირექტივის საფუძველზე, რომელიც ეხება მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიაში, ტყვეობაში მყოფი საბჭოთა ჯარისკაცებისათვის დადგენილი ფინანსური კომპენსაციის გაცემას.**

**კერძოდ, გერმანიის ბუნდესტაგმა 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით ყოფილმა საბჭოთა კავშირის ტყვეებმა სიმბოლურად უნდა მიიღონ ფინანსური დახმარება. სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში პატიმრობაში იმყოფებოდნენ 1941 წლის 22 ივნისიდან 1945 წლის 8 მაისამდე, შეუძლიათ მიიღონ ერთჯერადი დახმარება 2500 ევროს ოდენობით.**

**ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციით, ერთჯერადი ფულადი დახმარების მისაღებად აუცილებელია წერილობითი განცხადებით მიმართვა, რომელიც უნდა შეივსოს გერმანულ, ინგლისურ ან რუსულ ენებზე“,** — აცხადებენ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში.



③

ვაჟა ბერიძე:

### ხუთი დაბალრეიტინგული პარტიის გაერთიანებით ერთ რეიტინგულ პარტიას ვერ მივიღებთ!..

ცინიზმისა და თავხედობის აპოგეა... ⑤

### რესპუბლიკელებს რომ ჰკითხო, ეკლესიებიც დასახურია და არც მღვდლებია საჭირო!

## ლორა თორნტონი:

## „საქართველო დაიღალა ყველა პარტიისგან“



**ვფიქრობ, საქართველო დაიღალა ყველა პარტიისგან. პარტიები ვერ ახერხებენ ადამიანების დაინტერესებას,** — აცხადებს NDI-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლორა თორნტონი ინტერვიუში. მისივე თქმით, ქართველი საზოგადოება მოლოდინის რეჟიმშია, შესაძლოა, ის ელოდება ახალ პარტიას ან პარტიას, რომელიც გარდაქმნის საკუთარ თავს.

პარტიები, რასაკვირველია, არ დამეთანხმებიან, მაგრამ, ჩემი აზრით, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ პარტიები მკაფიოდ არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან და განსხვავება მხოლოდ ადამიანებშია. ისინი განსხვავდებიან სახეებით და ლიდერებით. შესაძლოა, ყველგან არა, მაგრამ ზოგ ქვეყანაში პარტიებს შორის ძალიან მკაფიო განსხვავებებია. ვიღაც აბორტის მომხრეა, ვიღაც — მოწინააღმდეგე. ვიღაც მხარს უჭერს რეგულაციებს, ვიღაც — არა. ერთი პარტია სოციალ-დემოკრატიულია, მეორე ლიბერტარიანული და ა.შ. როგორ უნდა გააკეთოს საზოგადოებამ არჩევანი, როცა პარტიების პროგრამები ფაქტობრივად იდენტურია. რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავება ნიუანსებში, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ნიუანსები არ არის საკმარისი ქართველი საზოგადოებისთვის, რომ ისინი განასხვავოს.

**ვერავინ ახერხებს, ადამიანებს ელაპარაკოს იმ თემებზე, რომლებიც მათ რეალურად აინტერესებთ. ამიტომ ვფიქრობ ქართველი საზოგადოება მოლოდინის რეჟიმშია...**

### რა არ გაიყიდება სკოლის ⑥ ბუფეტში?

როსტომ ჩხეიძე:

### წიგნთა შეჯიბრებაზე მშრალ ციფრების ამარა...



⑦

კომპიუტერმა მკითხველი „მოიტაცა“!

# ევროზბანკი ჩვენს პოლიტიკას მხარს უჭერს!



**მნიშვნელოვანია, რომ ევრობანკი მხარს უჭერს ჩვენს პოლიტიკას და ამის გამოხატულება გახლავთ სწორედ ის, რომ მათი სტრატეგია არის პირდაპირ მორგებული ოთხპუნქტიანი გეგმის დღის წესრიგზე, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, —** ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, 2016 წლის განმავლობაში ამ საფინანსო ინსტიტუტმა განახორციელა 17 პროექტი და 250 მილიონი ევროს ინვესტიცია, რაც უპრეცედენტოა და ეს არის რეკორდული მაჩვენებელი.

**„მინდა, გამოვეხმაურო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტის სერ სუმა ჩაკრაბარტის ვიზიტს საქართველოში და მინდა, მადლობა გადავუხადო ევრობანკს, პირადად ბატონ პრეზიდენტს და მთელ გუნდს საქართველოს განვითარების მხარდაჭერისათვის, ჩვენ მიერ აღებული კურსის მხარდაჭერისათვის. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი არის საქართველოს უმნიშვნელოვანესი პარტნიორი. 2016 წლის განმავლობაში ამ საფინანსო ინსტიტუტმა განახორციელა 17 პროექტი და 250 მილიონი ევროს ინვესტიცია, რაც უპრეცედენტოა და ეს არის რეკორდული მაჩვენებელი“, —** განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, ჩაკრაბატიმ გააჟღერა გზავნილები, რომლებიც ეხება საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზებს და დაადასტურა, რომ საქართველო გადააჭარბებს ევრობანკის მიერ პროგნოზირებულ მაჩვენებელს.

**„მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა ისეთ სფეროებში, როგორიც არის ენერგეტიკა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, კონკრეტულად პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესის მხარდაჭერაში არის მნიშვნელოვანი. კონკრეტულად, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის განვითარება, რომელიც ორიენტირებულია ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების პოტენციალის ათვისებაზე და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ევრობანკი მხარს უჭერს ჩვენ მიერ აღებულ პოლიტიკას და ამის გამოხატულება გახლავთ სწორედ ის, რომ მათი სტრატეგია არის პირდაპირ მორგებული ოთხპუნქტიანი გეგმის დღის წესრიგზე, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ჩაკრაბატიმ გააჟღერა გზავნილები, რომლებიც ეხება საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზებს და დაადასტურა, რომ საქართველო გადააჭარბებს ევრობანკის მიერ პროგნოზირებულ მაჩვენებელს, რაც მნიშვნელოვანია. ასევე გზავნილები, რომლებიც ეხება საქართველოს პოზიციებს საერთაშორისო რეიტინგებში, რომელიც ბოლო წლებში გაუმჯობესდა, არის მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით ისეთ პიროვნების მხრიდან, რომელსაც საინტვესტიციო სამყარო ყურადღებით უსმენს. კიდევ მადლობა ევრობანკის პრეზიდენტს, საქართველოში ვიზიტისათვის, მთლიანად ამ გუნდს საქართველოს განვითარების მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის“, —** აღნიშნა საქართველოს პრემიერმა.

# ჩქაროსნული მაგისტრალი კარგი ტემპით შენდება!

**ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობაში კარგი ტემპით მივიწევთ წინ, —** ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ოსიაური-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის მშენებლობა იწყება.

**„იწყება მშენებლობა ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთზე, რომელიც ჯამში 15 კილომეტრამდეა. ეს უკვე გახლავთ ბოლო მონაკვეთი, რომლის შემდეგ იწყება რიკოთის მონაკვეთი. კონკრეტულად ამ მონაკვეთის ღირებულება 500 მილიონ ლარამდეა და დასაქმების დიდ კომპონენტს ითვალიწინებს. რაც შეეხება რიკოთის მონაკვეთს, მიმდინარეობს დიზაინის საბოლოო დაზუსტება, დაახლოებით მილიარდ დოლარამდე იქნება ამ მონაკვეთის ღირებულება. ეს არის უმნიშვნელოვანესი და ალბათ ყველაზე რთული მონაკვეთი და ეს იქნება 55 კილომეტრამდე, 90 ხიდის და 40 მაგისტრალური გვირაბის შემცველი მონაკვეთი. აქაც ასობით ადამიანი დასაქმდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. თუ არ ვცდები, მომავალი წლისთვის მზად ვიქნებით ამ მონაკვეთის მშენებლობის დაწყებისთვის. მე ძალიან მიხარია, რომ კარგი ტემპით მივდივართ, არ გვაქვს ჩამორჩენა სივრცითი განვითარების გეგმის დროით ინდიკატორებთან. მინდა, მოსახლეობას სივრცითი განვითარების აღსრულების შესახებ რეგულარულად ვაცნობოთ“, —** განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

# 2012 წლიდან 15 500-ზე მეტი დევნილი ოჯახია ბინით უზრუნველყოფილი

**2012 წლიდან დღემდე 15 500-ზე მეტი დევნილი ოჯახია დაკმაყოფილებული მუდმივი საცხოვრებლით, —** ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისი განცხადებით, კიდევ 422 დევნილის ოჯახი მიიღებს საცხოვრებელს ქუთაისში წყალტუბოსა და გორში. **„დევნილებისთვის საცხოვრებლის გადაცემა გრძელდება, მორიგი 422 დევნილის ოჯახი მიიღებს საცხოვრებელს ქუთაისში წყალტუბოსა და გორში. უკვე დღეის მდგომარეობით, 2012 წლიდან მოყოლებული 15 500-ზე მეტი ოჯახია დევნილი ოჯახის დაკმაყოფილებული მუდმივი საცხოვრებლით და ეს პროცესი გაგრძელდება“,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

# „სეზონური მოვლენა“ და „ერთჯერადი გამოვლინება“ გაუფასურებაზე

პირველი ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი ლარის გაუფასურებას ერთჯერად, „სეზონურ მოვლენად“ აფასებს. დიმიტრი ქუმსიშვილი ასევე გამოეხმაურა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის რომან გოცირიძის განცხადებას, რომ ლარის გაუფასურების მიზეზი ფინანსთა სამინისტროს მიერ ბიუჯეტის ნაშთების — ნახევარი მილიარდი ლარის — კომერციულ ბანკებზე გასესხება გახდა.

**„პარლამენტის სხდომა გუშინ დაიწყო სპეკულაციით, თუმცა სხვა მოლოდინი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრისგან არ არსებობს, მაგრამ ჩვენი მოსახლეობა იმსახურებს, სრული ინფორმაცია იყოს მიწოდებული — ხაზინის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებულ თანხებზე მინდა მივაწოდო ინფორმაცია. დღეს ფულადი ბაზარი ისეა მოწყობილი, როგორც ზიარჭურჭელი და იმდენივე თანხებით, რამდენიც ხაზინის მხრიდან განთავსდა კომერციულ ბანკებში, პრაქტიკულად შემცირდა რეფინანსირება ეროვნული ბანკიდან. შესაბამისად, ამას არ ჰქონია ზეგავლენა მთლიან ფულის მიწოდებაზე. თვითონ რიცხვებს რომ დავუბრუნდე, პირველი 8 თვის განმავლობაში საგადასახდელო ბალანსში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გვაქვს, ძალიან კარგად გვეზრდება ტურიზმი, ექსპორტი და ფულადი ჩარიცხვები, ჯამურად 700 მლნ დოლარით არის გაუმჯობესებული აღნიშნული, რაც დადებით ზეგავლენას ახდენს კურსის სტაბილურობაზე. თვითონ სტაბილურობას რაც ეხება, ჩემი დაკვირვებით, ეს არის სეზონური მოვლენა. თუ ჩვენ დავაკვირდებით, სადღაც 15-20 აგვისტოდან დაიწყო აღნიშნულმა გამოვლინება, რაც დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნისთვის. თუმცა მე ამ წუთში ვაფასებ ამას, როგორც ერთჯერად გამოვლინებას, რომელმაც უკვე გადაიარა“, —** განაცხადა ქუმსიშვილმა.

# ბიუჯეტში პრემია-დანამატებისთვის 60 მლნ-ით ნაკლები თანხაა ჩადებული!



REGINFO.GE-ს ინფორმაციას, მთავარი პროკურორის და მისი მოადგილეების პრემია-დანამატებთან დაკავშირებით, ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ ბიუჯეტში პრემია-დანამატებისთვის გარკვეული თანხები ჩადებულია, თუმცა შარშანდელთან შედარებით 60 მლნ ლარით ნაკლები:

**„ირაკლი შოთაძის დეკლარაციასთან დაკავშირებით კომენტარს არ გავაკეთებ, ინფორმაცია აბსოლუტურად ღია და გახსნილია. თვითონ აქვს შევსებული ეს დეკლარაცია და აქ დასამალი არაფერი არ არის, მით უმეტეს, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ბიუჯეტში თავიდანვე ჩადებულია გარკვეული თანხები იმისათვის, რომ პრემია და დანამატი გაიცეს. თუმცა დღევანდელი მდგომარეობით, შარშანდელთან შედარებით 60 მლნ ლარით ნაკლებია გაცემული მთლიანად ანაზღაურების ფონდი“, —** განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

# სიმართლით გავიმარჯვებთ ყველა იმ წერტილში, სადაც საქართველომ დროშა აღმართა!



**ამის შესახებ პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გორში, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

პრეზიდენტის განცხადებით, ქართველ სამხედროებს ზურგს არა მხოლოდ პროფესიონალიზმი და პარტნიორების მხარდაჭერა, არამედ ის სიმართლე უმაგრებს, რომლის მხარესაც ისინი დგანან.

**„როგორც ოფიცრებს, თქვენ კარგათ გესმით ის რთული ვითარება, რომელშიც იმყოფება ჩვენი სამშობლო და ის გლობალური სირთულე, რომელიც დამდგარია კაცობრიობის წინაშე. ცივი ომის დასრულების შემდეგ, ალბათ, არ გვეგონა, რომ ამდენი ცხელი წერტილი იქნებოდა მსოფლიოში და ამდენი გამოწვევა ექნებოდა კაცობრიობას. მაგრამ, დღეს, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რამდენი სირთულე და გამოწვევაა, ჩვენ კიდევ უფრო კარგად უნდა გავიაზროთ და დავუბრუნდეთ იმ სიმართლეს, რომლის მხარესაც ჩვენ ვდგავართ.**

**ერთ მხარეს არის საქართველო და მისი მეგობრები და მეორე მხარეს არიან ძალები, რომლებისთვისაც მისაღებია სხვა ადამიანის ჩაგვრა, განადგურება, დამცირება, რომლებისთვისაც მისაღებია გლობალური დესტაბილიზაცია. ერთ მხარეს ხართ თქვენ, რომლებიც იცავთ თავისუფლებას, ადამიანის ღირსებას და მეორე მხარეს არიან ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ ერთმა ქვეყანამ მეორე შეიძლება დაიპყროს, მისი მოსახლეობა გაანადგუროს, დაჩაგროს და მიწასთან გაასწოროს. ეს სიმართლე ერთ-ერთი ძლიერი იარაღია, რომელიც თქვენ გაქვთ. ამ სიმართლით ჩვენ გავიმარჯვებთ ყველა იმ წერტილში, სადაც საქართველომ ძალიან ამაყად აღმართა თავისი დროშა“, —** განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

# დაჭრილი სამხედროების ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა!

თავდაცვის სამინისტრო ავღანეთში დაჭრილი ქართველი სამხედროების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს:

**„ავღანეთში ბაგრამის საავიაციო ბაზაზე დაშავებული ქართველი სამხედროების — სერჟანტის გიორგი წიქარიშვილისა და პირველი კლასის რიგითის ირაკლი კუჭუხიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მკურნალობის შემდგომი ეტაპის გასავლელად მათი გერმანიაში გადაყვანა იგეგმება. უფროსი ლეიტენანტის ივერი ბუაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა, თუმცა ექიმების განცხადებით, მკურნალობის პროცესში დადებითი დინამიკა შეიმჩნევა.**

**„მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 23-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამი სამხედრო მოსამსახურე ბაგრამის საავიაციო ბაზაზე თვითმკვლელის მიერ განხორციელებული თავდასხმის შედეგად გუშინ დაშავდა“ ,—** ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.



# ადგილობრივი არჩევნები სიურპრიზებს გვპირდება



## ხუთი დაბალრეიტინგული პარტიის გაერთიანებით ერთ რეიტინგულ პარტიას ვერ მივიღებთ!..

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თავისი არსით საკმაოდ მნიშვნელოვანი არჩევნებია, თუმცა უკვე ტრადიციად იქცა — ჩვენთან წინასაარჩევნო პროცესი საკმაოდ დუნედ და მოსაწყენად მინდინარეობს ხოლმე. ამაში საგანგაშო არაფერია და ყველაფერი ნორმალურადაა, თუ ჯერ კიდევ გარკვეული დროა საჭირო, რომ საზოგადოება მთელი სიღრმით ჩაწვდეს, ვის ირჩევენ და რატომ — მიმდინარე პროცესებზე ექსპერტი ვაჟა ბერიძე გვესაუბრება.**

— ჩვენთან მიზეზთა გამო პოლიტიკური პროცესი დაპაუზებულია. ეს დაპირისპირება, აურზაური საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ, დემარშები, ჩვენი ხელისუფლების აბსოლუტური სიყრუე საზოგადოებრივი აზრის მიმართ — ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში, პოლიტიკურ პროცესს აჩერებს.

ნებისმიერ სფეროში, მათ შორის, პოლიტიკაშიც, კონკურენცია არის მამოძრავებელი ძალა — წინსვლის, უკეთესი მომავლის შექმნის, პოლიტიკური პროცესის განვითარებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, კონკურენცია, როგორც სხვადასხვა სფეროში, ისე პოლიტიკაშიც მინავლებულია.

არსებობს ორი ძირითადი ძალა არენაზე: ერთი — ბიძინა ივანიშვილის, ხოლო მეორე — მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური პარტია. ძალიან სპეციფიკური სიტუაციაა — პარტიების ხელმძღვანელები პოლიტიკურ პროცესში ნომინალურადაც არ მონაწილეობენ, მაგრამ რეალურად, ყველაფერს განსაზღვრავენ.

სხვა, მათ შორის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ წარმოშობილი პარტიები, ერთ ან მეორე ორბიტაზე მოიაზრებიან. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, გარკვეული თვალსაზრისით, აზრს კარგავს, თუ არ იქნება ექსცესი, ან რაიმე არაორდინარული ვითარება, მაგალითად, ხანძრები ალექსანდრეს ბაღში, ან იპოდრომზე, ანუ ის, რაც გააღიზიანებს საზოგადოებას, ან არ გამოჩნდა ისეთი კატასტროფა, როგორიც იყო ციხის კადრები, როგორც მოხდა 2012 წლის არჩევნების წინ, პოლიტიკური პროცესი იქნება ასეთი დუნე და აშკარა უპირატესობა ექნება სახელისუფლებო კანდიდატს;

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი დაბლა იწევს (თუ რამდენად, ამას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები აჩვენებს, მაინც ის გაიმარჯვებს, მათ შორის, თბილისის მერობისთვის გამართულ მარათონში.

სიურპრიზები მოსალოდნელია დედაქალაქშიც და ცალკეულ რეგიონებშიც. შეიძლება, ჩატარდეს მეორე ტურებიც, მაგრამ ამის ალბათობა მცირეა.

**— მეორე ტურს რაც შეეხება, ზურაბ ხარატიშვილის და კიდევ რამდენიმე პარტიას ჰქონდა შეთავაზება პროდასავლური ოპოზიციური ძალებისთვის პრაიმერის ჩატარების შესახებ. როგორ ჩანს, ყველა ვერ დაითანხმეს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით საუბარი არ არის პრაიმერზე, მაგრამ თუ გამოვლინდებოდა საერთო კანდიდატი და ის დაუპირისპირდებოდა სახელისუფლებო კადიდატს, უფრო რეალური ხომ არ იქნებოდა თუნდაც მეორე ტური?**

— პირველ რიგში, ბატონ ხარატიშვილს, მიშას დროს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და ამჟამად ერთ-ერთი პარტიის დამფუძნებელს, ვურჩევ, თვითშეფასებას ნუ გააკეთებს, ვინ არის პროდასავლური პარტია საქართველოში და ვინ — პრორუსული; ეს დასადგენია, განსჯის საგანია და კლიშეებით აზროვნებას არ უნდა მივეჩვიოთ არც თბილისში და არც ბრიუსელში. ეს ვაშინგტონში ერთი-ორკვირიანი გასეირნებითაც ძნელი დასადგენია.

რუსეთის შემადგენლობაში გუბერნიის სტატუსით შეცვლის მომხრე პარტია არ მეგულება, არც ევრაზიულ კავშირში დაუყოვნებლივ გაწევრებას არ ითხოვს რომელიმე პარტია, ვისაც ეს ბატონები მოიაზრებენ პრორუსულ პარტიებად — ერთმანეთისთვის დამღის დასმა პოლიტიკურ პროცესს ასაჭურისებს და ჩიხში შეჰყავს.

**— პრორუსულს უკვე აღარ ეძახიან — კონსერვატიულ პარტიებად მოიხსენიებენ...**

— წინ წავსულვართ აშკარად, როგორც ჩანს, ვიღაცამ, სადღაც, საქართველოს მიღმა, საღად იაზროვნა. ამას რომელიმე მხარის მიმართ სიმპათიის გამო არ ვამბობ — პრორუსულად წოდებულ მიმართულებაზე უფრო მეტი კრიტიკული შენიშვნა მაქვს და უფრო მკაცრი პოზიცია, ვიდრე ე.წ პროდასავლურ ფრთაზე მოღვაწე პარტიებისადმი.

იმითაც ნუ მოვიტყუებთ თავს, რომ ხუთი დაბალრეიტინგული პარტია გაერთიანდება და მათგან ერთი რეიტინგული პარტია მიიღება. ეს აბსოლუტურად გამორიცხულია, ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება, გამომდინარე იქიდან, რომ ამ შემთხვევაში ჯუფდებადობის კანონი არ მუშაობს.

მსგავს პლატფორმაზე მდგარი და ხედვების მქონე პარტიების გამსხვილება და გაერთიანება მისასალმებელია, მაგრამ იქ, სადაც არ არის სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსი, შეუძლებელია კონკურენტუნარიან ბრძოლაში გამოიწვიონ დავუშვათ „ქართული ოცნება“, რომლის უკანაც დგას ივანიშვილის ფინანსები. ამას ემატება ისიც, რომ ტენდერებში გამარჯვებულ ბიზნესმენებს, რატომღაც, ფული მხოლოდ „ქართული ოცნების“ სალაროში შეაქვთ.

მეორე მხრივ არიან „ნაციონალური მოძრაობის“ ხელშეწყობით გამდიდრებული ბიზნესმენები, მიხეილ სააკაშვილთან ასოცირებულნი, რომლებიც ახლა, დაბნეულობის სტადიაში არიან, რადგან ვერ ხედავენ რეალურ მიზეზს, არჩევნებში რატომ უნდა ჩადონ ფული.

თან, როგორც კულუალური ინფორმაცია ვრცელდება. სააკაშვილსა და მის მთავარ მოლარე კეზერაშვილს შორის, გარკვეული გაუგებრობებია და პრობლემები აქვთ ურთიერთობებში. თან ისიც ჩანს, რომ სააკაშვილი საქართველოში პოლიტიკაში ფულს არ ხარჯავს. ამ ეტაპზე მას უკრაინა უფრო აინტერესებს, იქ უფრო დიდი ფსონებია დადებული და ოლიგარქებთან ჭიდილი უფრო მეტ ქულებსა და ავტორიტეტს შესძენს, რადგან ფიქრობს, რომ დასავლეთისთვის კიდევ გახდება საჭირო. ამიტომ საქართველოში იგი ფულს ამჯერად არ ხარჯავს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვაში, მათ შორის პოლიტიკაში, სააკაშვილი გაბედული და უხვი იყო, მაგრამ მისი კონტროლირებადი ფინანსები რატომღაც არ იხარჯება.

მითხარით, არის სადმე მესამე ფული? მესამე ფული საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს. შეიძლება აქ იგულისხმებოდეს რუსული ფული, რომელიც სხვადასხვა არხებით შემოდის და გარკვეულ პოლიტიკურ პარტიებს ხმარდება. მაგრამ აქ ჰიპოთეტების დონეს ვერ გავცდებით — არც მედიას დაუდევს კონკრეტული ფაქტები ამის თაობაზე.

როდესაც ასეთი სურათი გვაქვს,ჯანსაღ და რეალურ კონკურენციაზე საუბარი ზედმეტია, მითუმეტეს, ივანიშვილის ხელმძღვანელობით „ქართულმა ოცნებამ“ ბევრი სასიკეთო რამ მოუტანა ქვეყანას — მაგალითად, პოლიტიკური პროცესი ჩიხიდან გამოიყვანა, ავტორიტარული რეჟიმი მოაშორა და შეეცადა სახელმწიფოებრიობის აღდგენას, მაგრამ ეს არ გამოუვიდა და ასე ვთქვათ, პროცესები თვითდინებაზე მიუშვა;

რეალურად, ივანიშვილს გამოუვიდა პოლიტიკის დეპოლიტიზაცია, რაც აბსოლუტურად შინაარსს აცლის იმ პოლიტიკურ პროცესს, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს.

როდესაც საკრებულოს წევრობის კანდიდატებს ჩახედავ და მხოლოდ 2-3 ნაცნობ სახელსა და გვარს აღმოაჩენ ისეთს, ვისთვისაც ღირს საარჩევნო ყუთთან მისვლა, თუ „ქართულ ოცნებას“ უჭერ მხარს; ხოლო ყველა დანარჩენი არის მისტერ ინკოგნიტო, რომელიც აბსოლუტურად უცნობია საზოგადოებისთვის და პოლიტიკური მოღვაწეობა მილიონნახევრიანი ქალაქის საკრებულოში უნდა დაიწყოს, ხვდები, რომ აქ ბევრი შეცდომაა დაშვებული და პოლიტიკის დეპოლიტიზაცია და კონკურენციის მოშლა ქვეყანაში უკვე სახიფათო ზღვართან მივიდა.

ივანიშვილს ვურჩევდი, ეს პროცესი შეაჩეროს, არენაზე იქნება თუ არა, პოლიტიკური პროცესის მიმდინარეობაზე პასუხისმგებლობა პირადად და პერსონალურად ეკისრება.

აქედან გამომდინარე, მერობის კანდიდატების გაერთიანება, რასაც ბატონი ხარატიშვილი გვთავაზობდა, ჩემი აზრით, მათი საერთო კანდიდატის კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით, შედეგის მომტანი არ იქნებოდა.

იხ. 5 გვ.

## შოთაძის პრემია-დანამატი 117 000 ლარია!



**საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ 2016 წელს ხელფასის სრული ოდენობით პრემია და დანამატი 18-ჯერ, ხოლო მისმა მოადგილეებმა — მამუკა ვასაძემ, გიორგი გაბიტაშვილმა და გიორგი გოგაძემ 21-ჯერ აიღეს,** — ინფორმაციას აქვეყნებს.

**მთავარი პროკურორის თანამდებობრივი სარგო თვეში 3 910 ლარია, ანუ წელიწადში 46 920 ლარი. ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, ირაკლი შოთაძემ 2016 წლის განმავლობაში, ხელფასთან ერთად 18-ჯერ მიიღო დანამატი და პრემია. სულ მისი წლიური ანაზღაურება 117 000 ლარი იყო, საიდანაც 70 080 ლარი პრემია-დამანატების თანხაა.**

**მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის მამუკა ვასაძის წლიური ანაზღაურება 42 240 ლარია (თვეში 3 520 ლარი), თუმცა რეალურად მან 112 680 ლარი მიიღო. შესაბამისად, ერთ წელიწადში მამუკა ვასაძემ დანამატი და პრემია 21-ჯერ აიღო, — სულ 70 440 ლარის ოდენობით.**

**ასევე 21-ჯერ აიღეს დანამატი და პრემია მთავარი პროკურორის მოადგილეებმა გიორგი გაბიტაშვილმა და გიორგი გოგაძემ. თითოეული მათგანის წლიური ანაზღაურება 111 240 ლარს შეადგენს, მათ შორის, 40 800 ლარი ხელფასის თანხაა (თვეში 3 400 ლარი), ხოლო დანარჩენი 70 440 ლარი — პრემია-დანამატები.**

**ირაკლი შოთაძის კიდევ ერთ მოადგილეს გიორგი ბადაშვილს პროკურორის რანგში ახალი დეკლარაცია ჯერ არ წარუდგენია, — იგი ამ თანამდებობაზე მიმდინარე წლის 7 ივნისს დაინიშნა, მანამდე კი ფინანსთა სამინისტროში საგამოძიებო სამსახურის უფროსის თანამდებობა ეკავა. „რეგინფო“ წერდა, რომ გიორგი ბადაშვილმა აღნიშნულ თანამდებობაზე 2016 წელს მიიღო 86 000 ლარის ოდენობით პრემია და დანამატი.**

**25-ჯერ აიღო პრემია და დანამატი მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა თეიმურაზ ნაჭყებიამ, — ჯამში სულ 73 590 ლარი. მისი ხელფასის ოდენობა 2 930 ლარია, — ესე იგი წელიწადში 38 090 ლარი, თუმცა, რეალურად, მისი წლიური ანაზღაურება 111 680 ლარი იყო.**

**„პროკურატურის შესახებ“ კანონის თანახმად, პროკურატურის მუშაკის ხელფასი თანამდებობრივი სარგოსგან, პრემიისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატებისგან შედგება. 2016 წლის ბიუჯეტის გეგმით, პროკურატურაში პრემიებისთვის გათვალისწინებული იყო 2 721 000 ლარი, ხოლო სახელფასო დანამატებისათვის — 5 164 500 ლარი.**

## „ბატონი შოთაძე ნამდვილად იმსახურებს!“

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძისა და მისი მოადგილეების მიერ 2016 წელს აღებულ პრემია-დანამატების აღების საკითხს ეხმაურება.

**„ფაქტი არის შემდეგი, რომ ირაკლი შოთაძის და მისი მოადგილეების თვიური ანაზღაურება არის ზედმიწევნით იგივე, რაც იყო ბატონი ზოდელავასი. ეს შრომის ანაზღაურება შოთაძის შემთხვევაში არ გაზრდილა და მე ვსვამ კითხვას, იმსახურებს თუ არა ბატონი შოთაძე ჰქონდეს მისი საქმიანობიდან გამომდინარე შრომის იგივე ანაზღაურება, რაც ჰქონდა ბატონ ზოდელავას, რომლის დროსაც პროკურორი იყო იარაღი ჩვენი მოქალაქეების გაუბედურებისა, ჩაგვრისა და მოსამართლეებზე ზეწოლისა. ჩემი პასუხია ამავე კითხვაზე, რომ იგივე ანაზღაურებას, რაც ჰქონდა ბატონ ზოდელავას, ბატონი შოთაძე ნამდვილად იმსახურებს,“** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

# რა ელის „ჭკვიან გიჟს“?!

**„ადამიანი-სკანდალი“ თავის სტიქია-შია. მიხეილ სააკაშვილი, „ჭკვიანი გიჟი“ 10 სექტემბერს მორიგი, დიდი, „გლობალური სკანდალის“ მოწყობას გეგმავს. სულაც არაა გამორიცხული, პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე განვითარებულმა მოვლენებმა კორეის ნახევარკუნძულზე ბირთვული ომის მოლოდინიც კი გადაფაროს დასავ-ლურ მედიასივრცეში.**

და ეს უკვე მერამდენედ ხდება – შე-ვარდნაძის სამთავრობო თათბირზე აფ-რიალებულ „საირმის ქუჩის ვილათა“ ფოტოებიდან დაწყებული (სხვათა შო-რის, ის ვილები ვისაც მაშინ ეკუთვნო-და, დღესაც იმათ ეკუთვნით) – 2008 წელს თეთრ სახლში გამართულ თათბი-რამდე, როდესაც სერიოზულად განიხი-ლებოდა როკის გვირაბზე სარაკეტო დარტყმის, ანუ ორ ზესახელმწიფოს შო-რის სრულმასშტაბიანი ატომური ომის სცენარი.

შემდეგ იყო უკვე გაუთავებელი სკან-დალები უკრაინაში, რაც დაგვირგვინდა იუსტიციის მინისტრის საჯაროდ თავ-სლაფდასხმით, ამის გამო (ზუსტად ამის გამო!) მიშასათვის მოქალაქეობის ჩა-მორთმევით და, ფაქტობრივად, ქვეყნი-დან გაძევებით. როგორც ჩანს, პრეზი-დენტ პოროშენკოს ჰგონია, რომ ამ პო-ლიტიკურ შოუმენს, თავხედსა და უსირ-ცხვილოს ასე იოლად მოიშორებს თა-ვიდან. არადა, აშკარად ცდება!

* * *

**მაშ ასე: 10 სექტემბერს მიხეილ სააკაშ-ვილი ევროპარლამენტის დეპუტატებთან და ტელეჟურნალისტთა ლეგიონთან ერ-თად მიადგება „კრაკოვეცის“ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტს პოლონეთ-უკრაინის საზღ-ვარზე.**

ამ „აქტისთვის“ იგი კარგა ხანს ემ-ზადებოდა. წინასწარ პოსტერიც კი გა-ავრცელა ამერიკულ ბლოკბასტერ „გა-დარეული მაქსის“ სტილიზებით და წარწერით: „კრაკოვეცი. 10 09 2017. სა-აკაშვილი ბრუნდება!“.

საზღვრის მეორე მხარეს მიშას ელიან მისი მხარდამჭერები: ასეულობით ადა-მიანი აპირებს 9 სექტემბრიდან კარავი დასცეს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან. შესაბამისად, უკრაინის შინაგან საქმე-თა სამინისტრომ, რომელსაც მიშას „დი-დი მეგობარი“ არსენ ავაკოვი ხელმძღვა-ნელობს, საზღვარზე სპეცდანიშნულების რაზმი გააგზავნა ჯავშანტექნიკით.

საარმიო ქვედანაყოფთა დონბასის ფრონტიდან მოხსნა და „დასავლეთ მი-მართულებაზე“ გადასროლა ჯერ, რო-გორც ჩანს, არ იგეგმება. თუმცა ვინ იცის...

უკრაინის პარლამენტის წევრმა ლი-აშკომ სხდომაზე განაცხადა, რომ თუ სა-აკაშვილი უკრაინაში „შემოიჭრება“, პი-რადად დახვრეტს მას ტაბელური იარა-ღიდან! მეორე მხრივ, იმ ათასობით ადა-მიანს შორის, ვინც სააკაშვილის შესაგე-ბებლად 10 სექტემბერს „კრაკოვეცზე“ გამგზავრებას და „კარვის ქალაქთან“ შე-



ერთებას გეგმავს, არიან საპრეზიდენტო ბლოკ „პეტრო პოროშენკოს“ წევრები ზალიშჩუკი, ჩუმაკი, ნეიემი. ისინი, პირი-ქით, სააკაშვილის წინააღმდეგ დევნის შეწყვეტას და მის ქვეყანაში შემოშვებას მოითხოვენ, რაც, რასაკვირველია, ამ ქვე-ყანაში არსებული კლინიკური მდგომა-რეობისა და მუდმივმოქმედი პოლიტი-კური ცირკის მორიგი სახალისო წარ-მოდგენაა: „პეტრო პოროშენკოს ბლო-კის“ წევრები იმ პოლიტიკოსის რეაბი-ლიტაციას მოითხოვენ, ვინც იმავე პეტ-რო პოროშენკოს „ბანდიტსა და „ბიუჯე-ტის ვირთხას“ უწოდებს.

* * *

**ეს ყოველივე გასაგებია. გაუგებარი, ჯერჯერობით, ისაა, თვით სააკაშვილი რას ელის ამ აქციისაგან.**

როგორც მრავალჯერ ითქვა, მიშა შეიძლება კიდეც იყოს გიჟი, მაგრამ სუ-ლელი ნამდვილად არ არის. მან იცის, რომ მექანიზმი უკვე ისეა „მომართული“, ტალღა ისეა „აგორებული“, მისი უკან შებრუნება შეუძლებელია. ყოველ შემ-თხვევაში უდიდესი, გამოუსწორებელი და აუნაზღაურებელი პოლიტიკური და-ნაკარგის გარეშე.

ანუ, თუ, მაგალითად, მრავალკვირი-ანი მზადების და წინასწარი „პიარ-გნი-ასის“ მიუხედავად, სააკაშვილი ბოლო მომენტში გადაიფიქრებს და საზღვარზე არ მივა, ეს იმდენად დიდ დარტყმას მი-აყენებს მის იმიჯს არა მხოლოდ უკრა-ინაში, არამედ საქართველოშიც, რომ, შეიძლება ითქვას, მისი კარიერა საბო-ლოოდ დასრულდება.

ესე იგი, კრაკოვეცთან ის უკვე აუცი-ლებლად უნდა მივიდეს. მერე? ვარიანტი სულ რამდენიმეა: მიშა გაუწოდებს პას-პორტს უკრაინელ მესაზღვრეს, რომე-ლიც წინასწარ იქნება, რასაკვირველია, „ინსტრუქტირებული“; პასპორტს გამო-ართმევენ, მერე ჩამოართმევენ და ქვე-ყანაში შესვლაზე უარს ეტყვიან.

ეს შედარებით „რბილი“ ვარიანტია, თუმცა სააკაშვილისთვის არცთუ უპ-რობლემო, რადგან ასეთ შემთხვევაში საერთოდ პასპორტის გარეშე რჩება. პო-ლონეთში კი დაბრუნდება, მაგრამ, ბო-ლოს და ბოლოს, უსაბუთოდ მოგზაუ-რობა მთელს მსოფლიოში უკვე შეუძლე-ბელი იქნება. აქამდე ის პასპორტი მა-ინც ჰქონდა, რასაც ამერიკელი და ევ-როპელი მესაზღვრეები სცნობდნენ მი-უხედავად მისი „ანულირებისა“. მაგრამ საერთოდ უპასპორტოდ მოგზაურობა ნამდვილად შეუძლებელი გახდება. მა-შინ იძულებული იქნება, აიღოს „აპატ-რიდის“ საბუთი (და ამით საერთაშორი-სო „ბომჟებს“ გაუტოლდეს) ან მიიღოს რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა, რაკი ამტკიცებს, თითქოს რამდენიმე ქვეყა-ნამ შესთავაზა მოქალაქეობა.

* * *

**მეორე სცენარი თითქოს უფრო მძიმეა: სააკაშვილს საზღვარზევე აკავებენ საქარ-თველოს მოთხოვნით და იწყებენ თბილის-ში მისი ექსტრადირების პროცედურას. თე-ორიულად სრულიად შესაძლებელი ვარი-ანტია. თუმცა ბევრ პოლიტიკურ პრობლე-მას უკავშირდება როგორც უკრაინის, ასე-ვე საქართველოს ხელისუფალთათვის.**

განსაკუთრებით არაკომფორტულ სიტუაციაში (მით უმეტეს არჩევნების წინ!) „ოცნების ხელისუფლება“ აღმოჩ-ნდება. მას არაფრის დიდებით არ აძლევს ხელს სააკაშვილი – „მატროსოვ-ზე“. ეს არა უბრალოდ „აუტკივარი თა-ვის ატკივებაა“, არამედ სერიოზული პოლიტიკური რისკიც.

ბუნებრივია, თუ მიხეილ სააკაშვილს ციხეში ჩასვამენ, მისი მომხრეები და-იწყებენ აქციებს, გამოსვლებს, მოაწყო-ბენ პიკეტებს ციხესთან... თუმცაღა, აშ-კარაა, რომ ისინი რაიმე შედეგს ვერ მი-აღწევენ, რადგანაც ბოლომდე გაშიფ-რულები არიან და ქართველი ხალხის უმრავლესობას, მინიმუმ 65–70 პრო-ცენტს ეზიზღებათ! ხოლო მოწინააღმ-დეგეები ასეთივე აქციებს ვერ ააგორე-ბენ, რადგან ეს საქართველოში დამკვიდ-რებულ პოლიტიკურ კულტურას ეწინა-აღმდეგება და ცუდ ტონად ითვლება და-სავლეთის თვალში.

დასავლეთი კი ამ საქმეს ალბათ ვე-ღარ გამოაცხადებს „პოლიტიკურად“, მიშასთან საკანში შესვლას არ მოითხო-ვენ ამერიკის, საფრანგეთის, გერმანი-ის და ბრიტანეთის ელჩები, ევროპარ-ლამენტარები და ა.შ., რადგანაც მიშა ამერიკასა და დასავლეთშიც ყელში ამო-უვიდათ!

ზოგადად, ყოფილი პრეზიდენტის ციხეში ჩასმა (ვიმეორებ: რაც არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი), ყოველ შემთხვევა-ში განაჩენამდე, დემოკრატიულ მსოფ-ლიოში არცთუ ისე კარგ ტონად ითვლე-ბა. ხოლო „გაუსვლელობა“ ან მიშას „ბი-ნაზე პატიმრობა“ ხელისუფლებისთვის საკმაოდ სარისკოა.

ამიტომაც ბუნებრივად და ლეგიტი-მურად ისმის კითხვა: რა „ჯანდაბად“ უნდა ახლა ეს ყოველივე „ქართულ ოც-ნებას“, – გიორგი კვირიკაშვილს ან ბიძინა ივანიშვილს? ბოლო დრომდე ექ-სტრადიციასაც კი არ მოითხოვდნენ, სა-ნამ ამ „არმოთხოვნამ“ მართლა ყვირილი არ დაიწყო.

შესაბამისად, ელემენტარული ლო-გიკა გვკარნახობს აქვე ფრთხილად ვი-ვარაუდოთ, რომ რაკი ეს ყოველივე თაღლითმა მიშამ ძალიან კარგად იცის და გათვლილიც აქვს, მაშასადამე, გამო-დის... ის არ გამორიცხავს ექსტრადიცი-ას და, რაც მთავარია, შეიძლება კიდეც აწყობდეს, სწორედ ახლა, თუნდაც ამ ფორმით, თუნდაც ამ სტატუსით საქარ-თველოში, მაშასადამე, ქართულ პოლი-ტიკაში დაბრუნება!

**რა თქმა უნდა, „დემოკრატიის შუქურა“ იმდენს ვერ ფიქრობს, რომ მიშასგან გაწა-მებული ქართველი ხალხი და ქართული „ოცნება“ მას ოლიმპიური სიმშვიდით ჩას-ვამს ციხეში და 10 წლის განმავლობაში ჩა-დენილ მიუტევებელ დანაშუალებს თანდა-თან დაუთვლის!.. რამდენიმე წელიწადში კი მისი სახელი დასავლეთს საერთოდ დაა-ვიწყდება!..**

**ნიკა იმნაიშვილი**

## თეა წულუკიანი: უკრაინულ მხარეს აქვს განახლებული მოთხოვნა და მიმდინარეობს სამართლებრივი პროცედურები!

**უკრაინულმა მხარემ კითხვაზე, რჩებოდა თუ არა ძალაში მიხეილ სააკაშვილის ექ-სტრადირების მოთხოვნა, ქარ-თული მხარისგან დადებითი პა-სუხი მიიღო** – აცხადებს იუსტი-ციის მინისტრი.



**„უკრაინულმა მხარემ მოგვ-მართა წერილით, სადაც დასვა შეკითხვა, რომ ის 2014-2015 წლე-ბის ექსტრადირების მოთხოვნები, რომელიც მათ მიიღეს თავის დროზე, იყო თუ არა დღეს ძალა-ში, რაზეც პასუხი მიიღო: დიახ, ის მოთხოვნები არის დღესაც ძალა-ში. კიდევ ერთხელ თავის დაზღ-ვევის მიზნით, გადაიგზავნა იგივე დოკუმენტები, რაც ად-რე იყო გაგზავნილი. შესაბამისად, უკრაინულ მხარეს აქვს განახლებული მოთხოვნა. რაკი ჩვენგან შეიტყვეს, რომ სა-მართლებრივი ინტერესი კვლავ ძალაშია.**

## გიორგი მამალაძე პრეზიდენტისთვის შეწყალების თხოვნას არ გეგმავს

**„მამა გიორგის გასაჩივრებაზე უარის თქმა და პრე-ზიდენტისთვის შეწყალების თხოვნით მიმართვა შეუძლია. თუმცა, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ის ამაზე უარს აცხადებს. დეკანოზის თქმით, მას შესაწყა-ლებელი არაფერი სჭირს, რადგან თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს“,** – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენ-ს“ გიორგი მამა-ლაძის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა.

ადვოკატის განცხადებით, დეკანოზი გამამტყუნე-ბელი განაჩენით გულნატკენია, თუმცა, ბრძოლის შეწყ-ვეტას არ აპირებს.

**„განაჩენს ძალიან ვაჟკაცურად შეხვდა. თუმცა, გულ-ნატკენი იყო იმ უკანონო განაჩენზე, რომელიც მოსამარ-თლე ბესიკ ბუგია-ნიშვილმა გამოი-ტანა. ამის მიუხე-დავად, მამა გიორ-გი ოპტიმისტურა-დაა განწყობილი, ის ძალიან ძლიერი სულის პატრონია და თავის სიმართ-ლეში იმდენადაა დარწმუნებული, მზადაა, თავისი უდანაშაულობა ბოლომდე დაამტ-კიცოს.**



**თუ საქართველოს ვერც ერთ ინსტანციაში სამარ-თალს ვერ მივაღწიეთ, სტრასბურგი აუცილებლად მი-იღებს გამამართლებელ გადაწყვეტილებას“,** – აცხადებს მიხეილ რამიშვილი.

მისივე განცხადებით, დეკანოზმა ჯანმრთელობის პრობლემის გამო ამჯობინა განაჩენი საკანში გაეგო. „ჯი-ეიჩ-ენ-ის“ ინფორმაციით, ადვოკატები დეკანოზ გიორგი მამალაძესთან შეხვედრას ხვალ გეგმავენ.

◎ ცინიზმისა და თავხედობის აპოგეა

# რესპუბლიკელებს რომ ჰკითხო, ეკლესიებიც დასახურია და არც მღვდლებია საჭირო!

**რესპუბლიკური პარტია უტიფრად და თავმომწონედ რომ იჩემებს, ყველაზე ინტელექტუალური და ერუდირებული კადრები გვყავსო, ეს არახალია, მაგრამ ახლა უკვე ღიად აცხადებენ, აგრესიული ათეისტებისა და სარკასტული დემაგოგების თავშესაფარიც ჩვენთანაა და თუ ვინმე ღმერთზე გაბოროტებული და სულიერად დეგრადირებული ხართ, ჩვენს წიაღში ბენეფისითა და ფურორით რეალიზდებით და მობრძანდითო!**

დაუკვირდით ცინიზმისა და თავხედობის აპოგეას: კომპარტიის ყოფილი წევრები, კაგებეში ცნობილი დამსმენები და ილია ჭავჭავაძის მლანძღველები ლიბერალურ დემოკრატიაზე ექსკლუზივს იბრალებენ.

შეიძლება იყო ინფორმაციული ლიტერატორი, ნაკითხი ლექტორი, კომპეტენტური იურისტი, ენაკვიმატი ორატორი და გამოცდილი პოლიტიკოსი, მაგრამ არ იყო ადამიანი და პიროვნება!

ბიბლიაში „სიბრძნე ზირაქისა“ ამბობს: „ჭკუანაკლი, მაგრამ ღვთისმოშიში სჯობს დიდად გაბრძნობილს, მაგრამ რჯულის დამრღვევს“ (19.24).

ასეა, როცა შეგნებულად მტრობ უზენაეს შემოქმედს, ქრისტიანულ საუნჯესა და ეთიკას - რაც არ უნდა დიდი რესურსის მატარებელი იყო, ვერასოდეს აცდები ამომრჩეველთა 1,5 %-ს და ვერასოდეს პოზიტიურ პროდუქტს ვერ შექმნი, რადგან თვითონ ნეგატივი ხარ.

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრები ყველას და ყველაფერს მუდმივად ზემოდან დაჰყურებენ. სწორედ მათ ამპარტავნებას მოსდევს ხოლმე მათივე რენომეს დაღმასვლაც, ხოლო პოლიტიკურ ვარდნას კი დამღუპველ სიჩქარეს, ანუ კინეტიკურ ენერგიას სძენს ყოველივე ეროვნულ-კულტურული ფასეულობისა და სულიერი ღირებულების დაუცხრომელი სიძულვილი.

ამ ჯგუფს რომ ჰკითხო, ეკლესიებიც დასახურია და არც მღვდლებია საჭირო. დიახ, ჩვეულებრივი ბოლშევიკების იდეოლოგიური რეინკარნაციის სილუეტები არიან!

მათთვის ლიბერალიზმი ალიბი და შირმაა, თავიანთი ჰედონისტური, მატერიალისტური და ანტიეროვნული ზრახვების შესანიღბად. გროტესკული ირონიაა, როცა ამას ცივილიზებულობად ასაღებენ.

მოკლედ, ღმერთთან და ყოველივე საკრალურთან ბრძოლაში ისინი ყველაზე უფრო „აკადემიურ“ ფორმატს, ანუ ლიბერალურ ნარატივს ირჩევენ. პარადოქსი კი ის არის, რომ ვითომ თავისუფლების იდეას ადევნებულნი, თავად ყველაზე დაკომპლექსებული კასტა არიან და განსხვავებულ აზრთან მიმართებითაც ისე პირქუშად და ფანატიკურად რეაგირებენ, რომ უნებლიეთ შემოავიწყდებათ ხოლმე, ხელზე მარლასავით დახვეული „ადამიანის უფლებები“ და მისი ღირსება, რომელიც მათთან (შექმნილი კონიუნქტურის მსგავსად) ყოველთვის რეალატიური და ფარდობითია.

მათ მხარდამჭერებსაც რომ უთხრა, ხალხს ძალიან არ მოსწონხართო, პასუხად მუდამ ეს სიტყვები აქვთ: სულ არ გვანაღვლებს, ხალხს ვეყვარებით თუ არაო!

ვისაც ასეთი განწყობა აქვს, ის არაფრით განირჩევა დემონური მდგომარეობისგან. ლუციფერიც ასეა: მას სულ არ ანაღვლებს არავისი აზრი!..



**გიორგი ტიგინაშვილი**

(მესამე გვერდიდან)

**— მერობის კანდიდატების მრავალფეროვნება არ გვაკლია — კალაძე, ხოშტარია, უდუმაშვილი, ინაშვილი, ელისაშვილი, რომელიც დამოუკიდებელ კანდიდატად დაამტკიცეს, დავით აქუბარდია, რომელმაც შესაძლოა, „ტრადიციონალისტთა კავშირის“ სახელით იყაროს კენჭი და ა.შ... ნაციონალებისა და „ქართული ოცნების“ კანდიდატების უკან ფული რომ არ იყოს, ასეთ შემთხვევაში შეიცვლებოდა თუ არა შანსები?**

— ფული პოლიტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არა ერთადერთი, გადამწყვეტი ფაქტორი. ჰიპოთეტურად რომ დავუშვათ და „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრობის“ მხარეს არ იდგეს ფული; მიუხედავად ასეთი ჰიპოთეტურად დასაშვები რეალობისა, უპირატესი შანსი მაინც ექნებოდა კალაძეს და უდუმაშვილს, ეს არ შეცვლიდა აბსოლუტურად არაფერს.

დასახელებული კანდიდატები საინტერესო მოღვაწეები არიან, მივესალმებოდი დავით აქუბარდიას მონაწილეობას საარჩევნო მარათონში. ეს ადამიანი უკვე ბევრი წელია პოლიტიკის ანალიტიკოსია, თოქ-შოუ მიჰყავს, ეთერში აწარმოებს დისკუსიებს, განათლებული პიროვნებაა — ამ თვალსაზრისით, ის არის მისასალმებელი კანდიდატი, თუმცა გარკვეული ხარვეზები ექნება, როგორც მენეჯერს, მაგრამ კანდიდატი უაღრესად საინტერესოა.

მეორე მხრივ, ალეკო ელისაშვილი — ერთ-ერთი პირველი მივესალმე, როდესაც ის გამოჩნდა დედაქალაქის არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ამპლუაში, მაშინვე იგრძნობოდა, რომ პატრიოტი და გონიერი კაცია, თუმცა ელისაშვილმა ვერ შეძლო ცდუნების დაძლევა, რომ პოპულიზმის ტალღაზე არ შემოსულიყო პოლიტიკაში.

ვერც იმ ცდუნებას გაუძლო, რომ გარკვეულ ეტაპზე ასოცირებული გახდა „ნაციონალურ მოძრაობასთან“, თუმცა ვერ შეთანხმდნენ და გაიმიჯნენ, რეალურად თუ მოჩვენებით, ჯერ არ ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ ის აღიქმებოდა არა მარტო მისი მტრების მიერ, არამედ საზოგადოების ნეიტრალური ნაწილის თვალშიც, როგორც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებული პიროვნება.

ცხადია, არ დამავიწყდება ელენე ხოშტარია, რომელიც არის ძალიან გონიერი, ენერგიული ქალბატონი. კარგია, რომ პოლიტიკაშია. შესანიშნავი იყო არასამთავრობო სექტორში მოღვაწეობის პერიოდში, მაგრამ ის მერობისთვის ჯერ მზად არ არის და ეს ჩანს ყველაფერში - პლატფორმაში, მიდგომებში, გამოსვლაში და ა.შ. მისი მერობაც და კანდიდატობაც ნაადრევია, თუმცა მისი ყოფნა პოლიტიკაში უდავოდ, მისასალმებელია.

**— ზაალ უდუმაშვილი როგორი მერი იქნებოდა?**

— უდუმაშვილი იქნება ცუდი მერი, იმიტომ რომ საამისოდ არ აქვს სათანადო გამოცდილება. არ არის მენეჯერი. მისი ხედვები ქალაქის მომავალთან დაკავშირებით ზედაპირულია. ერთია, იყო საინფორმაციო გადაცემის წამყვანი და ჟურნალისტი და მეორეა — იყო პოლიტიკოსი მთავარი ოპოზიციური ძალისგან; თუმცა პიროვნულად, უაღრესად ღირსეული კანდიდატურაა.

თუ მერი გვინდა არა მარიონეტი, არა მართული, არა ისეთი, ვისაც უნიშნავენ მოადგილეებს, ხელქვეითებს, ზედამხედველებს და ა.შ. მაშინ უნდა ჰქონდეს ხედვა და უნდა იყოს ლიდერი, უნდა ჰყავდეს გუნდი, რომლითაც ის მოვა ხელისუფლებაში და არა — ვისაც სააკაშვილი მიუთითებს, ან გვარამია დაუნიშნავს.

**— კახა კალაძეს არ დაუნიშნავენ ზედამხედველებს?**

— კალაძე სერიოზული თემაა ყველა თვალსაზრისით. კალაძის თაობაზეც არაერთხელ მითქვამს, რომ მისი გამოცდილება პოლიტიკაში არასაკმარისია დედაქალაქში პირველობისთვის იმიტომ, რომ დედაქალაქი ეს არის მოსახლეობის მესამედი, ეკონომიკის ნახევარზე მეტი.

მითუმეტეს რთული ფენომენია თბილისის საზოგადოება, ეკონომიკა, სოციალური პრობლემატიკა, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ ითქვას, რომ კალაძე მზარდია, როგორც პოლიტიკოსი, როგორც საზოგადო მოღვაწე და მის მიმართ საწინააღმდეგო არაფერი შეიძლება გვქონდეს.



# ადგილობრივი არჩევნები სიურპრიზებს გვპირდება

ის არის კარგი მაგალითი ჩვენი ახალგაზრდობისთვის — როგორ შეიძლება, საკუთარი ოფლით და შრომით მიაღწიო და გახდე მილიონერი, იყო წარმატებული და ეს ძალიან სჭირდება ჩვენს სიღარიბით სავსე ქვეყანას. ასეთ მაგალითებს მიჰყავს ახალგაზრდობა და საზოგადოება მიზნისკენ, რომ შრომით შეიძლება წარმატების მიღწევა ასეთ პირობებშიც კი.

მისი ხედვებიც საკმაოდ პროგრესულია, თანამიმდევრულია და ვფიქრობ, ის გაიზრდება, როგორც ქალაქის მერი.

რომ არა ივანიშვილის ხედვა პოლიტიკის დეპოლიტიზაციის მიმართულებით, რომ უკეთესია უბიოგრაფიო ადამიანები, რომლებზეც კომპრომატები არ არსებობს, იყვნენ წინა პლანზე, ვიდრე გამოცდილები, რომელთაც საქმე უკეთებიათ — ასეთი ხედვა რომ არა, ვფიქრობ, სხვა ღირსეული კანდიდატების შერჩევაც შეიძლებოდა, მაგრამ რაც არის, ესეც საკმაოდ ეფექტურადაა შერჩეული. მგონია, რომ ყველა თვალსაზრისით და ყველა ჩემი გათვლით, კალაძე უნდა გავიდეს პირველ ადგილზე. იქნება თუ არა მეორე ტური, ეს სხვაა.

**— მეორე ადგილი რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ არჩევნებში?**

— მნიშვნელოვანი იქნება, თუ ხმების დათვლა საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად მოხდება. ასეთ შემთხვევაში მეორე ადგილი გვიჩვენებს, როგორი განწყობაა დღევანდელ საზოგადოებაში. არა პირობითად პროდასავლური ან პრორუსული, არამედ რეალურად პროდასავლური და რეალურად პრორუსული.

თუ დასავლური კლიშეებით შევხედავთ რეალობას, „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში დასავლეთი დამშვიდდება, რადგან მმართველი ძალის ალტერნატივა იქნება მათ მიერ კლიშედადებული პროდასავლური ძალა — „ნაციონალური მოძრაობა“ ან „ევროპული საქართველო“.

თუ ინაშვილი გაიმარჯვებს, მაშინ დასავლეთი შეშფოთდება და ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ქვეყანაში მომრავლდნენ პრორუსული მიმართულების მომხრეები. იმიტომ კი არა, რომ ირმა ინაშვილი პრორუსად მიმაჩნია, ვთვლი, რომ ის პროდასავლურად მოაზროვნე პოლიტიკოსია — არამედ კლიშეების გათვალისწინებით.

ფაქტია, რომ ინაშვილი თავისი გუნდით წავიდა მოსკოვში, თანაც ისე, რომ კარგადაც ვერ გავიგეთ, რა „წაიღეს“ და რა „ჩამოიტანეს“...

რამდენადაც ცნობილია, დიალოგიც არ შემდგარა...

**— არ შედგა იმიტომ, რომ „პატრიოტთა ალიანსმა“ არასწორი პოზიცია დაიკავა. მათ უნდოდათ თავიანთი პარტიული ინიციატივა გაეოფიციალურებინათ, რაც საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით საქართველოსთვის ბევრი პრობლემის შემქმნელი იყო. მათ პარტიულ ან ინდივიდუალურ დონეზე უნდა ესაუბრათ.**

— კიდევ ვიმეორებ: რუსეთთან დიალოგის მომხრე ვარ, ეს საუბარი რაც უნდა ემსგავსებოდეს ყრუთა დიალოგს ბრმებთან, მაინც უნდა ვილაპარაკოთ რუსეთთან, მაგრამ ისე, რომ ჩვენი სტრატეგიული არჩევანი უცვლელი დარჩეს.

თავისი პრობლემების მიუხედავად, აშშ და ევროკავშირი არის ერთადერთი გარანტი ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა და ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის. ეს რეალობაა — საგარეო პოლიტიკური ორიენტირების შეცვლაც არ არის ასე ადვილი;

მუდმივი რეფორმებია საჭირო, ჩვენ ძალზე რთული რეგიონები გვაქვს. ზოგ ადგილას ზედმეტმა დამოუკიდებლობამ შეიძლება პრობლემებიშექმნას — ესეც გასათვალისწინებელია. საუბარია დასაწყები მოწყობის განსაკუთრებულ ფორმაზე ასიმეტრიული ფედერაციის ელემენტებით, ეს მოითხოვს მეცნიერული კვლევის დონეზე შემუშავებულ პროექტებს, რომ ეგებ როგორმე გადავარჩინოთ ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

ესაუბრა
**ლალი ზირაქიშვილი**

## თელავში ვენახები იწვის

**თელავში ღვინის კომპანია „ჯივიესის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ცეცხლი ჯერ ბალახს მოედო, შემდეგ კი ვენახებზეც გადავიდა. ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო ბრიგადები, თუმცა ხანძრის ქრობას ქარი აფერხებდა.**

## ქარი რუსთავში და დაზიანებული სახურავები



**რუსთავში ძლიერმა ქარმა საცხოვრებელი სახლების სახურავები დააზიანა. სახურავი დაზიანებულია კოსტავას გამზირზე, №19 საცხოვრებელ კორპუსზე და მეგობრობის №10-ში. ასევე, ძლიერი ქარის შედეგად ხეებს ტოტები დაემტვრა ფალიაშვილისა და რუსთაველის ქუჩებზე.**

SIC!

# რა არ გაიყიდება სკოლის ბუფეტში?

**ახალი სასწავლო წლიდან სასკოლო ბუფეტებში მოსწავლეები ველარ იყიდიან არაჯანსაღ საკვებ პროდუქტებს, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მოზარდების ჯანმრთელობას. ლაპარაკია შაქრისა და მარილის ჭარბი შემცველობის მქონე წასახემსებელ საკვებზე, რომელსაც მოსწავლეები ყოველდღიურად დიდი რაოდენობით იღებდნენ. განათლების სამინისტროს ახალი რეკომენდაციების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულება გაუუქმდებათ ბიზნესოპერატორებს, რომლებიც ამა თუ იმ სკოლაში კვების პროცესზე არიან პასუხისმგებელი. რა არ გაიყიდება სასკოლო ბუფეტებში და რით ჩანაცვლდება არაჯანსაღი საკვები? თემას ლელა კუნჭულია განავრცობს.**

15 სექტემბრიდან საქართველოს მასშტაბით მოქმედ 2085 საჯარო სკოლაში აღარ გაიყიდება არაჯანსაღი საკვები (მაგალითად, ე.წ. **ჩიფსები, მარილიანი ჩხირები, ჟელატინის კანფეტები, შოკოლადები, ტკბილი გაზიანი სასმელები, კრემიანი ნამცხვრები და მავნე დანამატებისა და კონსერვატების შემცველი პროდუქტები** ). აიკრძალება ასევე სალეჭი რეზინის გაყიდვაც.

ახალ სასწავლო წელს ასევე არაჯანსაღი საკვების გარეშე შეხვდებიან თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაშიც და როგორც სკოლის დირექტორი ხათუნა ბარაბაძე ეუბნება რადიო „თავისუფლებას“, განათლების სამინისტროს ეს ახალი ინიციატივა კარგ საფუძველს ქმნის იმისთვის, რომ დიდი ხნის განმავლობაში ფეხმოკიდებული პრობლემა დაიძლიოს:

**„არაერთხელ მოგვმართეს მშობლებმა თხოვნით, რომ იქნებ აიკრძალოს ჩიფსების მოხმარება და ასევე, ვთქვათ, ტკბილი გაზიანი სასმელების, სალეჭი რეზინებისა და არომატიზებული ტკბილი შოკოლადების გაყიდვა... ხშირად მოგვმართავდნენ ასეთი თხოვნით, თუმცა ჩვენ ჯერ არ ძალგვიძს ამ საქმის ბოლომდე მიყვანა, რადგანაც არ იყო აკრძალული რეგულაციების დონეზე. კი ვთხოვდით ბიზნესოპერატორებს, მაგრამ მაინც ეს იყო მხოლოდ თხოვნის დონეზე... მას შემდეგ, რაც გაჟღერდა ეს რეგულაცია (განათლების) მინისტრის მხრიდან, უკვე სასწავლო წლის ბოლოს განვახორციელეთ ჩვენ ეს ცვლილება“.**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული მეთოდური რეკომენდაციის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯანსაღი კვების პრინციპები უნდა დამკვიდრდეს. უწყებაში მიიჩნევენ, რომ ყოველდღიურ რეჟიმში მიღებული ჯანსაღი საკვები დაეხმარება მოსწავლეებს, კონცენტრირება მოახდინონ სასწავლო პროცესზე, უკეთ დაძლიონ სასკოლო პროგრამა და უფრო კარგად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. პირველმა ექსპერიმენტულმა სკოლამ ახალი რეგულაციების შესახებ აპრილში შეიტყო და ცვლილებაც ამის შემდეგ დანერგა. არაჯანსაღ საკვებთან ბრძოლის ექსპერიმენტი წარმატებით განხორციელდა, პრეტენზია არავის ჰქონია და გამოჩნდა, რომ არაჯანსაღ პროდუქტებს მოსწავლეებიც ადვილად შეელევიან:



**„გიორგი მოდებაძე (მე-8 კლასის მოსწავლე) — მშობლები მეუბნებოდნენ: არ შეჭამო, ცუდი არის შენთვისო, მაგრამ რომ მშიოდა, ვჭამდი ხოლმე, თუ არ იქნება, არ შევჭამ და აღარც მომწამლავს; ეკა პაქსაშვილი (მე-10 კლასის მოსწავლე) — ჩემი აზრით, არ უნდა გაიყიდოს, რადგან ეს არის არაჯანსაღი პროდუქტები, არ არის სასარგებლო და ხელმისაწვდომი თუ არ იქნება, უკეთესი იქნება ბავშვებისთვის; სანდრო ცომაია (მე-9 კლასის მოსწავლე) — მაგან გამასუქა, მერჩივნა, რომ აეკრძალათ და არ მიმეღო ეს პროდუქტები, რადგან არაჯანსაღია“.**

ალერგიული ფონის განვითარება, იმუნიტეტის დაქვეითება, სიმსუქნე, ინფექციური დაავადებები, მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი — ეს იმ პრობლემათა მხოლოდ ნაწილია, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მოზარდების ჯანმრთელობას. შესაბამისად, ხელშეკრულება გაუუქმდება ყველა იმ ბიზნესოპერატორს, რომელიც განათლების სამინისტროს ახალ მითითებებს არ შეასრულებს. ბიზნესოპერატორებს, რომლებიც სკოლებში კვების პროცესს უძღვებიან, უწყებამ უკვე ჩაუტარა შესაბამისი ტრენინგები. როგორც განათლების სამინისტროს პროექტების მენეჯერმა მაია მუშკუდიანმა უთხრა რადიო „თავისუფლებას“, მათ შესაბამისი რჩევებიც მიეცათ:

**„რეკომენდაციას ვუწევთ ყველა ბიზნესოპერატორს, რომ უფრო მეტი დაჭრილი ხილი და ბოსტნეული მიაწოდონ მოსწავლეებს. შეუძლიათ გააკეთონ კომპოტები, ჯანსაღი წესით დაამზადონ სენდვიჩები... ანუ იქვე, სკოლაში მომზადებულ საკვებზე კეთდება უფრო მეტი აქცენტი. ჯანსაღი კვების დანერგვის პროცესს მონიტორინგს გაუწევს ჩვენი მონიტორინგის სამსახური და ასევე სკოლის ადმინისტრაცია. შემოწმების პროცესი პერმანენტულ სახეს მიიღებს“.**

განათლების სამინისტროს რეკომენდაციები გამიზნულია კერძო სკოლებისთვისაც, თუმცა განათლების სამინისტრო, ამ შემთხვევაში, არ ფლობს ბერკეტებს, რომ მონიტორინგი განახორციელოს ჯანსაღი კვების დანერგვის პროცესზე კერძო სკოლებში.

ჯანსაღი კვების პოპულარიზაციისა და მოზარდებში კვებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით დაწყებული კამპანიის ნაწილია განათლების მინისტრის ინიციატივა, რომლის თანახმადაც — საჯარო სკოლებში ახალი სასწავლო წლიდან ვაშლი უნდა დარიგდეს. ბოლო ინფორმაციით, საპილოტე პროექტი განხორციელდება თბილისის 10 საჯარო სკოლაში და ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში (სექტემბრიდან დეკემბრამდე) ხილი კვირაში ერთხელ ხელმისაწვდომი იქნება თბილისის ყველაზე მასშტაბური სკოლების 20 ათასი მოსწავლისთვის. მათ შორის არის პირველი ექსპერიმენტული სკოლაც. სკოლის დირექტორის ხათუნა ბარაბაძის თქმით, სავარაუდოდ, ხილით სავსე სპეციალური კალათები დერეფნებში განთავსდება.

**ლელა კუნჭულია**

რეპლიკა

## სოკარის მომსახურება

**მოგვსხენებათ, ენერგომატარებლების ტარიფები იწევს. არის თუ არა შესაბამისი მომსახურება?**



გრიგოლეთში ბუნებრივი აირის გაყვანილობა დამონტაჟდა, ხელშეკრულება დამიდეს და ჩართვის თანხა შემატანინეს, სოკარის უნიფორმაში გამოწყობილი თანამშრომელიც გვესტუმრა და გვიპატაკა, გაზი ჩავრთეო, თუმცა ოჯახში გაზი არ ჩაირთო, რადგან ბალონზე მომუშავე სისტემას რეგულირება სჭირდება. სოკარის წარმომადგენელმა, ეს მე არ მეხებაო. არც მათმა სამსახურმა — 7721 ოპერატორმა — მიპასუხა, ეს ჩვენი საქმე არ არისო. დამეთანხმებით, ბუნებრივი აირის ჩართვა სპეციფიკურია, მოგეხსენებათ, რამდენი მოწამვლის შემთხვევა ხდება (შესაბამისი ცოდნაა საჭირო)! თუ კომპანია მადლს შვრება და ამ სიკეთეს აკეთებს (გვაწვდის აირს), ბარემ მარილი მოაყაროს და სპეციალისტიც გამოყოს, ვინც აგრეგატს დაარეგულირებს, ჩართავს. ამდენს ვიხდით და ესეც მოაგვარონ, თორემ ეს რანაირი ჩართვაა — დღესაც ბალონის გაზს მოვიხმარ. ამ დროს კი ყოველთვიურად ბუნებრივი გაზის თანხა უნდა ვიხადო!

**მალხაზ დოლიძე**
**აბონენტი 00113772709**

## საბაჟო საზღვარზე სერიოზული დარღვევის ორი ფაქტი გამოავლინეს

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, გატარებული ოპერატიულ - სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ორი ფაქტი გამოავლინა.**



გამოძიებით დადგინდა, რომ საბაჟო-გამშვებ პუნქტ „ყაზბეგის“ გავლით, საბაჟო კონტროლისაგან მალულად, რუსეთის ფედერაციის მოქალაქემ საქართველოში შემოიტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობის ოქროს ნაკეთობები, რომლის საბაჟო ღირებულება 29 989 ლარს შეადგენს, ხოლო, საბაჟო-გამშვებ პუნქტ „სადახლოს“ გავლით, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქემ, საბაჟო კონტროლისაგან მალულად, ქვეყანაში შემოიტანა 52 351,55 ლარის საბაჟო ღირებულების ოქროს საიუველირო ნაწარმი. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია ჯამში 771 გრამი ოქროს ნაკეთობები.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე ვადით.

## მისამართები, სადაც საზოგადოებრივი ტუალეტები განთავსდება

**თბილისში 30 ადგილზე საზოგადოებრივი საპირფარეშო 1 დეკემბრამდე უნდა განთავსდეს.**

აუქციონში, რომელიც დედაქალაქის მასშტაბით საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობას გულისხმობს, შპს „კონსალტინგ გრუპმა“ გაიმარჯვა. რეტერატების მოსაწყობად 30 ადგილი აუქციონში გამარჯვებულ კომპანიას ოცწლიანი სარგებლობის უფლებით გადაეცა.

მისამართები, სადაც საზოგადოებრივი ტუალეტები განთავსდება:

1. მ/ს დიდუბე, ქვედა შესასვლელი;
2. ორთაჭალის ავტოსადგურის მიმდებარედ, გულიას ქუჩა;
3. ჩაჩავას ქ. №1-ის მიმდებარედ;
4. ჭავჭავაძის გამზირი №30-ის მიმდებარედ;



5. მ/ს ისანის მიმდ. ქეთევან წამებულის ქ. №76 მოპირდაპირედ;
6. ორთაჭალის ავტოსადგურის მოპირდაპირედ, გულიას ქ;
7. სააკაძის მოედანი;
8. ათონელის ქ. ალექსანდრეს ბაღი;
9. მ/ს დიდუბე. ზედა შესასვლელი;
10. ყაზბეგისა და პეკინის ქუჩების კვეთა;
11. სადგურის მოედანი 1;
12 რიყის პარკი — 2;
13. მ/ს ავლაბართან;
14. კიკვიძის ბაღი — 2;
15. კიკვიძის ბაღი — 1;
16. საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია;
17. კუს ტბის მიმდებარედ;
18. ბაგები, სტუდქალაქის ტერიტორიაზე, ავტობუსების ბოლო გაჩერებაზე;
19. კახეთის გზატკეცილი — 1 (ლილო);
20. კახეთის გზატკეცილი — 2 (ლილო);
21. მტკვრის მარცხენა სანაპირო (ელიავას ბაზრობის მიმდ.);
22. აგლაძის ქუჩა №11ა მიმდ. (ელიავას ზედა შესასვლელთან);
23. დიღმის მასივი, მაიაკოვსკის სახ. სკვერი;
24. დიღმის მასივი, ე. მიქელაძის ქუჩა №12;
25. დ. აღმაშენებლის გამზირი №19, სკვერში;
26. გურამიშვილის ქუჩა მ/ს „სარაჯიშვილის“ მიმდ;
27. ც. დადიანის ქუჩა მ/ს „ნაძალადევის“ მიმდ;
28. ც. დადიანის ქუჩა, გადასასვლელი ხიდის მიმდ;
29. წინამძღვრიშვილის ქუჩა, „დეზერტირების“ მიმდ;
30. ა. წერეთლის გამზირი, დინამოს მიმდებარედ.

საგულისხმო ანგარიში

# წიგნთა შეჯიბრებაზე მშრალ ციფრების ამარა...

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ანგარიშს რომ დაბეჭდავდა თავისი მოქმედებისა 1905 წლის განმავლობაში, მიხეილ ჯავახიშვილი გამოეხმაურებოდა სტატიით „მცირეოდენი სტატისტიკა“, „ივერიის“ 1906 წლის 6 აგვისტოს ნომერში რომ გამოქვეყნდებოდა და განმეორდებოდა „წერილების“ ვეება წიგნში, რუსუდან კუსრაშვილი რომ მოამზადებდა გამოსაცემად და სულ სხვა სიმაღლით წარმოგვიდგებოდა მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც პუბლიცისტი იმ 2001 წლიდან, თორემ მისი ექვსტომეულის 1964 და 1980 წლების გამოცემებში ისე ნაკლულად და ღარიბად მოჩანდა ეს დიდებული მემკვიდრეობა, ნამსხვრევებსა და შორეულ ანარეკლსღა ვეცნობოდით დიდი ბელეტრისტის პუბლიცისტური და ესთეტიკური ტალანტისა.**

როგორ გინდოდა, ამ უბადრუკი გამოცემის შემხედვარეს დაგეჯერებინა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი პუბლიცისტადაც ილია ჭავჭავაძის სულიერი მემკვიდრე გახლდათ.

არადა ეს ვეება ტომი ამ გენეალოგიურ ხაზს კანთიელად ადასტურებს.

თუმც ამჯერად:

დასანანი იქნება, თუ „მცირეოდენი სტატისტიკა“ იმ ვეება ტომში ჩაიკარგება და ხელახლა არ შემოვიტანთ საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

მიღებულიყო, რომ წიგნი, რომელიც მხოლოდ „მშრალი“ ციფრებითა და ცხრილებით გავსებულიყო, საინტერესო არ გახლდათ, და ამიტომ ამ ანგარიშსაც საზოგადოების გამგეობისა და რამდენიმე „მოცლილი“ მკითხველის გარდა არავინ გადაშლიდა; და თუ შემთხვევით მაინც გადაშლიდა ვინმე, ის მხოლოდ წევრთა სიას ჩაიკითხავდა და ნაცნობ გვართა მოძებნას სავსებით იკმარებდა.

მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილი, მათგან განსხვავებით, საინტერესოდ მიიჩნევდა ანგარიშში მოყვანილ ზოგიერთ ციფრსა და ცხრილს, რომელნიც მკრთალად მაინც ახასიათებდნენ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთ მხარეს.

საგულისხმო ანგარიშს იძლეოდა საზოგადოების სამკითხველო-ბიბლიოთეკათა დაწვრილებით შედგენილი ანგარიში, რომელიც ბევრ რაიმეს გვიხსნიდა და გვასწავლიდა.

წიგნები, რომელთაც აქ მოეყარათ თავი, შინაარსის მიხედვით ასე განიყოფებოდნენ:

**სასულიერო შინაარსისა — 750, სიტყვაკაზმული მწერლობა — 794, ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კრიტიკა — 973, პოლიტიკური ეკონომია — 279, ბუნებისმეტყველება — 780, საბავშვო — 2160 და სხვადასხვა — 4192.**

თვალნათლივ ირკვეოდა, რომ პირველი ადგილი ეჭირა სიტყვაკაზმულ ლიტერატურას და უკანასკნელი კი — პოლიტიკურ ეკონომიას.

**ყველაზე მეტადაც სიტყვაკაზმულ ლიტერატურას ეტანებოდა მკითხველი და მოეთხოვათ 7500-მდე წიგნი, ისტორიული — 1600-მდე, პოლიტიკური ეკონომია — 1100-მდე, საბავშვო — 3600-მდე, ბუნებისმეტყველება — 1000-მდე, სასულიერო — 360-მდე და სხვადასხვა — 1000-მდე.**

ხოლო წიგნის მაღაზიებში:

ყველაზე მეტი გასულიყო სასწავლო სახელმძღვანელოები: **„დედაენა“ — 13366, „ბუნების კარი“ — 2288, „რუსსკოე სლოვო“ I ნაწილი — 2777, II ნაწილი — 1131 ცალი. და ეს ოთხივე წიგნი იაკობ გოგებაშვილისა სულ გაყიდულიყო 19482 ეგზემპლარი.**

სახელმძღვანელოებს მოსდევდა პოლიტიკური ეკონომია: ალექსანდრე წულუკიძის „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ — 1734 ცალი.

ბელეტრისტული წიგნები ძალზე ნაკლებად გაყიდულიყო და, რაც გაყიდულიყო, ისიც საბავშვო და იაფფასიანი:

**ნიკო ლომოურის „ალი“ — 45 ცალი;**

**ჰენრიკ სენკევიჩის „ბარტექ ძლევამოსილი“ (მიხეილ ჯავახიშვილი თავს ვერ შეიკავებდა, ეპითეტიც არ დაერთო: მშვენიერიო) — 27;**

**თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი — 24;**

**რაფიელ ერისთავი — 20;**

**ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები — 97;**

**დავით კლდიაშვილის მოთხრობები — 35;**

**„ქართველი მწერლები“ — 108;**

**„ქართული სიტყვიერების ისტორია“ — 123;**

**„ვეფხისტყაოსნის“ კარგი გამოცემა — 6;**

**ვახტანგ ორბელიანის ლექსები — 49.**

**და დრამები უილიამ შექსპირისა (ამჯერადაც თავს ვერ შეიკავებდა, რომ „დიდებული“ არ დაერთო) — მხოლოდ 8.**

ეს „მხოლოდ“ 8 შექსპირისა რუსთველის „მხოლოდ“ 6-ის ფონზე შესაძლოა არც ისე ურიგოდ და გულსატკენად გამოიყურებოდეს.

შედარებით კარგად გაყიდულიყო საბუნებისმეტყველო, ისტორიული და ბიოგრაფიული თხზულებანი (უფრო იაფფასიანი):

**„ბურჯიეროვნებისა“ (კვლავ იაკობ გოგებაშვილი!) — 49 ცალი,**

**„რუსულ-ქართული ლექსიკონი“ — 147,**

**„ჩარლზ პარნელი“ — 81,**

**„ცა და დედამიწა“ — 40.**

ბიოგრაფიული თხზულებებისადმი ინტერესს როგორ შემოეღწია ჩვენი მკითხველის ცნობიერებაშიც, რომ აგერ უავტოროდ (სინამდვილეში რუსი ისტორიკოსი ევგენი ტარლე) დასტამბული წიგნაკიც იმჟამად ჩვენში ნაკლებად ცნობილ ირლანდიის ეროვნულ გმირზე უფრო პოპულარული ყოფილა, ვიდრე თუნდ ვაჟა-ფშაველას თხზულებანი.

თავისთავად კი „ჩარლზ პარნელისადმი“ ასეთი ინტერესი მე პირადად ძალიან მიხარებს გულს, ეს დიდებული სახელი ჯერ კიდევ როდის რომ დატრიალებულიყო ქართველი მკითხველის ცნობიერებაში, ხელშესახებად რომ მიჰყვებოდნენ ირლანდიელი მოსე წინასწარმეტყველის დრამატიზმით აღსავსე თავგადასავალს.

უკეთესად რომ გაყიდულიყო საყმაწვილო და სახალხო წიგნები, სამაგიეროდ არავითარი გასავალი არა ჰქონია მუსიკალურ და მეცნიერულ გამოკვლევებს:

**„გიორგი ბრწყინვალე“ — 2 ცალი;**

**„ქართული სიმფონია“ — 3;**

**„ქართული სახალხო სიმღერები“ — 4;**

**„ქართული რომანსი“ ზაქარია ფალიაშვილისა — 8;**

**ვახტანგ VI-ის „სჯულდების“ რუსული გამოცემა — 2;**

**„საქართველოს ისტორია“ ვახუშტი ბატონიშვილისა — 6;**

**„ქილილა და დამანა“ — 4.**

ჯერ ისედაც, და კიდევ უფროც დაგვწყდებოდა გული, ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ გვერდით 6-იანს რომ ამოვიკითხავდით, უკვე რომ არ განგვეცადა მწარე იმედგაცრუება შოთა რუსთველისა და ვაჟა-ფშაველასადმი მკითხველის „ინტერესით“.

ეს სტატისტიკური მონაცემები ბევრგვარი თვალსაზრისით არის დამაფიქრელი, და იმ მხრივაც, თანამედროვე ბესტსელერებზე რომ ვსაუბრობთ, ურიგო არ იქნება, თუ მიხეილ ჯავახიშვილის ეს სტატიაც წამოგვაგონდება ხოლმე...



სოსიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზია თბილისში მე–20 საუკუნის დასაწყისში



**როსტომ ჩხეიძე**

# „ალმოაჩინე მეტი სამცხე–ჯავახეთში!“

## USAID-ის პროექტ ZRDA-ს და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ერთობლივი ინიციატივა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, USAID-ის პროექტ Zrda-ს ფარგლებში სამცხე-ჯავახეთში საქართველოში რეგისტრირებული ტუროპერატორებისათვის საინფორმაციო ტური მოეწყო. საინფორმაციო ტურის მიზანია არსებული ტურისტული ობიექტების ცნობადობა და ხელი შეეწყოს მეტი ვიზიტორების მოზიდვას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართული ადგილობრივი სუბიექტების შემოსავლების ზრდას და განვითარებას. ტურის ფარგლებში ტუროპერატორებმა მოინახულეს ზემო ვარძიის, უდესა და ჭულეს სამონასტრო კომპლექსები, ძვ.წ.აღ. II ათასწლეულით დათარიღებული საროს მეგალითური ნაგებობები, მესხური დარბაზები და მესხური ვაზის ტერასები, ხალიჩების რეწვის ნიმუშები; და დააგემოვნეს მესხური სამზარეულო და უნიკალური ქვევრის ლუდი. ასევე, მონაწილეები ეწვივნენ დუხობორების თემს და გაიცნეს მათი ყოფა-ცხოვრება.



USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 70 თემში.

# WIZZ AIR-ი ქუთაისი–ვროცლავის მიმართულებას ამატებს

**ავიაკომპანია Wizz Air-ი ქუთაისის აეროპორტიდან ფრენების შესრულებას პოლონეთის კიდევ ერთი ქალაქიდან იწყებს. კომპანიამ უკვე დააანონსა ახალი მიმართულებების შესახებ და ფრენებს Wizz Air-ი პოლონეთის ქალაქ ვროცლავიდან ქუთაისის, პორტოს, ბაზელისა და კოტენბურგის მიმართულებით შეასრულებს.**

კომპანიის ცნობით, ავიაბილეთების შეძენა უკვე შესაძლებელია. ლოუკოსტერი Wizz Air Hungary Ltd. არის უნგრული ავიაკომპანიაა. მისი სათაო ოფისი ბუდაპეშტში მდებარეობს. კომპანია 35 ქვეყნის ბაზარზეა წარმოდგენილი და მისი აქციებით ლონდონის საფონდო ბირჟაზე ვაჭრობენ. კომპანიის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟის FTSE 250 ინდექსში შედის.




# საიდენტიფიკაციო სამაჯურები ახალშობილთათვის

**იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ახალი პროდუქტი ახალშობილებისთვის სამშობიარო სახლები დღეიდან ახალი საიდენტიფიკაციო სამაჯურებით უფასოდ მომარაგდება.**

იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მხარს უჭერს პარტნიორ სახელმწიფო დაწესებულებებს, საიდანაც ახალშობილის დაბადების რეგისტრაციის შესახებ იღებს ცნობებს და სამშობიაროებს უფასოდ გადასცემს ახალშობილთათვის საიედენტიფიკაციო სამაჯურებს.

საქართველოს ყველა რეგიონში რეგისტრირებული ყველა სამედიცინო დაწესებულება ევროპული ხარისხის, ერთნაირი ფორმის, დახვეწილი დიზაინის სამაჯურებით მომარაგდება.

ახალშობილის საიდენტიფიკაციო პირველი სამაჯურები, თბილისში „იმედის“ კლინიკაში დაბადებულ ჩვილებს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი პატარიძემ და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ სოსო გიორგაძემ მოარგეს.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ხარისხის სამსახურის სტატისტიკით, საქართველოში წელიწადში 60 000-მდე ახალშობილი იბადება.

# სიცოცხლისუნარიანია თუ არა „სამმხრივი კავშირი“?



**„მსოფლიოში გაუარესებული გეოპოლიტიკური სიტუაციის ფონზე რეგიონული კავშირების თემა სულ უფრო აქტუალური ხდება. ეს სწორი მიდგომაა, რადგან თანამედროვე გამოწვევების მიმართ წინააღმდეგობის გაწევა ერთად შედარებით იოლია და ეკონომიკური თანამშრომლობაც მომგებიანია. დარწმუნებული ვარ, რომ აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ლიდერებიც მეტ-ნაკლებად ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ. დრომ გვაჩვენა, რომ „სამმხრივი ღერძი“, რომელშიც ეს ქვეყნები შედიან, სიცოცხლისუნარიანია და მას სამივე ქვეყნისათვის პოლიტიკურ-ეკონომიკური დივიდენდები მოაქვს“.** — ამის შესახებ აზერბაიჯანულ გამოცემა „Новое время“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაშია საუბარი.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ბაქოში 6 სექტემბერს გამართული სამმხრივი შეხვედრა უკვე მეექვსეა ტრაპიზონის (2012 წლის 8 ივნისი), ბათუმის (2013 წლის 28 მარტი), განჯის (2014 წლის 19 თებერვალი და 10 დეკემბერი) და ბოლოს — თბილისის (2016 წლის 19 თებერვალი) შეხვედრის შემდეგ. ამ ჯერზე ბაქოში მინისტრებმა ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს და 2017-2019 წლების მუშაობის გეგმა დაამტკიცეს.

ბუნებრივია, გეგმა სამმხრივ ფორმატში ურთიერთობის განმტკიცებისკენაა მიმართული. ჩვენს რეგიონში ვითარება თითქმის ყოველდღიურად იცვლება და ამიტომ გადაწყვეტილება, სწრაფად და მოვლენების კვალდაკვალ უნდა იქნეს მიღებული. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს მსგავსი ტერიტორიული პრობლემები აქვთ, ერთმანეთისადმი მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე ზედმეტი არასოდეს არ იქნება. სხვათა შორის, ეს ასეც ხდება და ბაქოში აღინიშნა კიდეც ორი მეზობლის ერთმანეთისადმი სოლიდარული მოქმედება.

მაგრამ „სამმხრივი კავშირის“ ყველა პლუსთან ერთად არ შეიძლება არაფერი არ ვთქვათ „მედლის მეორე მხარეზეც“, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული მსოფლიოში შექმნილ ახალ გეოპოლიტიკურ სიტუაციასთან, მათ შორის — თურქეთის ურთიერთობასთან დასავლეთის სახელმწიფოებთან. საიდუმლო არაა, რომ ჩვენი მეზობელი საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებაზე ოცნებობს და თუ თბილისის ლტოლვას ობიექტურად შევაფასებთ, მას უკრაინაზე მეტი შანსები აქვს ნატოში მიღების საკითხში. ნატოელი გენერლები თბილისის ხშირი სტუმრები გახდნენ, ყოველწლიურად ტარდება ბლოკის მანევრები, რაც, თავის მხრივ, მოსკოვის მკვეთრ უკმაყოფილებას იწვევს. ოფიციალური ბაქო, მართალია, ნატოს სხვადასხვა პროგრამაში მონაწილეობს (მაგალითად, „პარტნიორობა მშვიდობისათვის“) და ალიანსს ავღანეთის სამშვიდობო მისიის შესრულებაშიც დახმარებასაც უწევს, მაგრამ აზერბაიჯანი, საქართველოსაგან განსხვავებით, ნატოში გაწევრებაზე საჯაროდ არ ლაპარაკობს.

თურქეთი, რომელიც ნატოს წევრია, ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ალიანსის სამხრეთის ფლანგზე, უფრო სწორად, ამ ფლანგს ფარავდა. მაგრამ თურქეთისა და ნატოს, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, თურქეთ-ევროკავშირის დღევანდელი ურთიერთობები იდეალურისაგან ძალიან შორსაა. ანკარის მოლაპარაკებები ევროკავშირთან მასში გაწევრების შესახებ, რომელიც 2004 წლიდან მიმდინარეობს, რომ იტყვიან, „ბეწვზე ჰკიდია“ და მათი შეწყვეტა ყოველ წუთს არის მოსალოდნელი. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ამ დღეებში სწორედ ეს განაცხადა — მოლაპარაკების შეწყვეტას ვაპირებთო... და თუ გერმანია რაიმეს გაკეთებას გადაწყვეტს, როგორც მას სურს, ისე იქნება.

ანტითურქული ისტერია, რომელიც ევროპულ დედაქალაქებში მიმდინარეობს, არ შეიძლება არ აისახოს ნატო-თურქეთის ურთიერთობაზეც. თურქეთში მდებარე ნატოს ბაზა „ინჯირლიყი“ ანკარასა და ბრიუსელს შორის განხეთქილების ვაშლად იქცა: ანკარა ბაზის მეთაურობას ბრალს სდებს 2016 წლის სამხედრო გადატრიალების მცდელობის ხელშეწყობაში. ბუნებრივია, გერმანულ-თურქულმა დაპირისპირებამ თავისი ნეგატიური შედეგიც გამოიღო: გერმანელმა სამხედრო მოსამსახურეებმა „ინჯირლიყის“ ბაზა დატოვეს. თურქეთსა და ნატოს შორის სიტუაცია ისეა გამწვავებული, რომ ანკარელი პოლიტიკოსები არ გამორიცხავენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან გამოსვლას და ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან ინტეგრირებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნატოსა და ევროკავშირის მიმართ თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის პოზიციების სხვადასხვაობა ამა თუ იმ დონით ყოველთვის გამოჩნდება.

**„Novoye-vremya“ (აზერბაიჯანი)**

## აზერბაიჯანის მმართველი ელიტის ფინანსურ მაქინაციებში ქართული კომპანიებიც ფიგურირებენ

„კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის გაშუქების პროექტის“ (OCCRP) ფარგლებში გამოქვეყნებული მონაცემებით, აზერბაიჯანის მმართველმა ელიტამ ორი წლის განმავლობაში საიდუმლო ფონდიდან სოლიდური თანხები გაათეთრა, გასაჯაროებულ მასალებში ასევე ქართული კომპანიებიც ფიგურირებენ.

**„საუბარია სატრანსპორტო და მეტალურგიულ კომპანიებზე, რომლებიც სხვადასხვა სერვისს სთავაზობენ მომხმარებლებს. ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ასე ჩანს, მაგრამ ამ მონაცემებს სჭირდება ანალიზი. რაც შეეხება წყაროს, აზერბაიჯანის შემთხვევაში საქმე გვაქვს ოთხ კომპანიასთან და, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ოთხივე მათგანი რიცხავდა ფულს საქართველოში. ამ კვირაში აუცილებლად გამოქვეყნდება მონაცემთა ბაზა, რომელშიც ნებისმიერ მსურველს შეეძლება, ქვეყნების მიხედვით ნახოს, თუ საიდან ირიცხება თანხა და ვინ არის მისი მიმღები“,** — განაცხადა პროექტის აღმასრულებელმა დირექტორმა პაულ რადუმ. მისივე თქმით, 2016 წელს ანალოგიური სქემა რუსეთშიც გამოავლინეს, თუმცა კი აზერბაიჯანის მთავრობა საერთაშორისო გამოძიების მიერ გავრცელებულ ცნობას უარყოფს.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პაულ რადუსთან ინტერვიუ ჩაწერა, რომელშიც რადუ ამბობს, რომ საქართველოს შემთხვევაში ფული კომერციულ კომპანიებში ირიცხებოდა. OCCRP-ის გამოძიების მიხედვით, აზერბაიჯანის მმართველმა ელიტამ ორი წლის განმავლობაში საიდუმლო ფონდიდან სოლიდური თანხები გაათეთრა. კერძოდ, ფონდიდან თანხებს უხდიდნენ ევროპელ პოლიტიკოსებს და ფული გარკვეულ პირთა ფუფუნებისთვის და ძვირფასი ნივთების შესაძენად იხარჯებოდა. მთლიანად 2,8 მილიარდი დოლარია დახარჯული.

accent.com.ge



## პოროშენკო: მთავარი საფრთხე უკრაინისთვის რუსეთია



**უკრაინისთვის მთავარ სამხედრო საფრთხეს რუსეთი წარმოადგენს. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ უმაღლეს რადაში გამოსვლისას განაცხადა.**

**„ყველა ნიშანია იმისა, რომ რუსეთი კონტინენტალური მასშტაბის ომისთვის ემზადება. ამას ადასტურებს სექტემბერში დაგეგმილი რუსულ-ბელარუსული წვრთნებიც,“- აღნიშნა პოროშენკომ.**

## კატალონიაში რეფერენდუმი ჩატარდება

**კატალონიის პარლამენტმა კანონპროექტს რეფერენდუმის ჩატარების შესახებ მხარი დაუჭირა, რაც იმას ნიშნავს, რომ 1 ოქტომბერს კატალონიაში ესპანეთის შემადგენლობიდან გამოყოფის შესახებ პლებისციტი ჩატარდება. კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ დოკუმენტს ხელი კატალონიის მთავრობის წევრებმა მოაწერეს. ესპანეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ კატალონიაში რეფერენდუმის ჩატარებას არ დაუშვებს.**

## ორეგონში ხანძარი დასახლებულ რაიონებს უახლოვდება

**ორეგონში ხანძრის ლოკალიზება ამ დრომდე ვერ ხერხდება. ცეცხლი 2 დღის წინ ტყის მასივს გაუჩნდა და 12 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი გაანადგურა. ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში ათობით სახანძრო ბრიგადა და ავიაციაა ჩართული. ცეცხლი პორტლანდის დასახლებული რაიონებისკენ მიიწევს, რის გამოც სტიქიური საფრთხის ზონიდან მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო.**

## პერუში ვულკანმა გაიღვიძა

**პერუში მოქმედმა ვულკანმა გაიღვიძა. საბანკაიას კრატერიდან ვულკანური ფერფლი იფრქვევა. პერუს გეოფიზიკის ინსტიტუტის მონაცემებით, ბოლო 24 საათის განმავლობაში 44 ამოფრქვევა მოხდა. კრატერი არექუილას რაიონში მდებარეობს. როგორც ექსპერტები აცხადებენ, ვულკანი ადგილობრივი მოსახლეობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და შესაბამისად, არც მათი ევაკუაცია იგეგმება.**

## პოლიციამ მიწისქვეშა ლაბორატორია აღმოაჩინა

**საფრანგეთის პოლიციამ ავეჯის საწყობში მიწისქვეშა ლაბორატორია აღმოაჩინა, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადება იყო შესაძლებელი. ჩხრეკა ტიეს კომუნაში ჩატარდა. სამართალდამცველებმა საწყობში ბომბების დასამზადებლად საჭირო ნივთიერებებიც იპოვეს.**

## ფემინისტები „მის უკრაინა 2017“-ის კონკურსის ჩაშლას შეეცადნენ



**ფემინისტები კიევში სილამაზის კონკურსის ჩაშლას შეეცადნენ. ერთ-ერთი აქტივისტი სცენაზე შიშველი აიჭრა. ფემინისტი სცენიდან დაცვის თანამშრომლებმა გაიყვანეს.**

**მოგვიანებით ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარი ფემინისტთა ორგანიზაციაში გააკეთეს.**

**„ამ გოგონებს მინისტრების, პარლამენტარებისა და ოლიგარქებისთვის არჩევენ. უკრაინა მათი ბორდელი არ არის,“ — ნათქვამია განცხადებაში.**

## პრინცი ჯორჯი სკოლაში შეიყვანეს



**პრინცი ჯორჯი სწავლას იწყებს. ბატერსის რაიონში მდებარე ტომასის სკოლაში 4 წლის ჯორჯი მამამ მიიყვანა. მისი განათლება ბრიტანეთის სამეფო ოჯახს წელიწადში 18 ათასი ფუნტი დაუჯდება.**

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ* ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერტებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

**1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის** **ცხრილი 1**

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" | ქ.თბილისი, ჭავჭავაძის 74ბ | ცხელი ხაზის ტელ. ნომერი: *1000 მობ. ნომერი: 577 21 22 79 ელ. ფოსტა: office@wissol.ge | საყოფაცხოვრებო 11 000 000<br>არასაყოფაცხოვრებო 3 000 000 | საყოფაცხოვრებო 26.382 - 35.704<br>არასაყოფაცხოვრებო 78.077 |

* თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) - ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. № 19, +995 032 2 42 01 80

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ* ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერტებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

**1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის** **ცხრილი 1**

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | **შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი"** | **ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N 18ა** | **240 40 04, 114 E-mail: support@ ktg-tbilisi.ge** | **საყოფაცხოვრებო 558 800 000<br>არასაყოფაცხოვრებო 222 200 000** | **საყოფაცხოვრებო 28.634<br>არასაყოფაცხოვრებო 64.644 - 43.028** |

* თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) - ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. № 19, +995 032 2 42 01 80

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ* ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერტებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

**1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის** **ცხრილი 1**

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შპს გოგოჭური და კომპანია | გარდაბნის რ–ნი სოფელი გამარჯვება | 592804010 ელ. ფოსტა: venera-venera61@mail.ru | საყოფაცხოვრებო – 0<br>არასაყოფაცხოვრებო – 3500000 | საყოფაცხოვრებო – 0<br>არასაყოფაცხოვრებო – 76.27 |

* თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) - ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. № 19, +995 032 2 42 01 80

პრესტიჟის საქმე

# ნოემბერიც მალე მოვა

**ჩვენი მკითხველი უკვე ინფორმირებულია, რომ წლეულს გიორგობისთვეში საქართველომ სწორუპოვარი მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირთან ერთად „არგენტინის სახლი საქართველოში“ ინიცირებულ სხვადასხვა დარგის პრესტიჟულ ღონისძიებებს, აგრეთვე ფეხბურთის მეფეს პელეს უნდა უმასპინძლოს.**

**მომავალი ცხელი შემოდგომის პერსპექტივზე გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით „არგენტინის სახლი საქართველოში“ თავმჯდომარის ნიკოლოზ პატარქალიშვილის მიერ ბატონ ბიძინა ივანიშვილისადმი გაგზავნილი წერილის გაცნობა.**

**ვიმედოვნებთ, ამ სასიკეთო პროექტს თანამდგომნი გამოუჩნდებიან და ღირსეულ წვლილს შეიტანენ მის წარმატებით განხორციელებაში.**

თქვენთან შეხვედრისას დახმარება აღგვითქვით ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელების მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის ფარგლებში საქართველოში პელეს ვიზიტისა და სხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელების საქმეში.

გაცნობებთ, რომ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების პარტნიორებთან შეთანხმებით საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას ვგეგმავთ წელს, 15-დან 25 ნოემბრამდე.



ნიკოლოზ პატარქალიშვილი (მარცხნივ) და ხულიან ლუის ტეტამანტი

ტურნირში მონაწილეობისათვის ვიწვევთ არგენტინის, ბრაზილიის, ურუგვაის, პარაგვაის, აგრეთვე რუსეთისა და საქართველოს 21 წლამდელთა ნაკრებს გუნდებს.

ტურნირის საზეიმო გახსნასა და დახურვაში მოწვეული იქნებიან არგენტინის, ბრაზილიის, ურუგვაის, პარაგვაის, რუსეთისა და საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, აგრეთვე თანამედროვე მუსიკოს-შემსრულებელთა ჯგუფები.

ტურნირის მატჩების ტელე-რეპორტაჟების გადაცემა მოხდება სამხრეთ ამერიკისა და სხვა ქვეყნებში, რომელიც პოპულარიზაციას გაუწევს საქართველოს. მოწვეული იქნებიან აგრეთვე მრავალი ქვეყნის სპორტული ჟურნალისტები.

შექმნილია ტურნირისა და კულტურული ღონისძიებების საორგანიზაციო ჯგუფი. საერთაშორისო ტურნირის მატჩები და შესაბამისი კულტურული ღონისძიებები ჩატარდება თბილისსა და ქუთაისში.

ამ ტურნირზე საქართველოში ჩამოვა პელე, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ტურნირის ღონისძიებებში და დააჯილდოებს გამარჯვებულ გუნდს.

ტურნირის დღეებში დაგეგმილია 1965 წელს მოსკოვში, ლუჟნიკების სტადიონზე გადაღებული პელეს, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, გიორგი სიჭინავასა და ანზორ კავაზაშვილის ცნობილი, ისტორიული ფოტოს მიხედვით შექმნილი სკულპტურული კომპოზიციის პრეზენტაცია.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების შესახებ „არგენტინის სახლი საქართველოში“ მიერ ეცნობა საქართველოს პრემიერ მინისტრს, ბ-ნ გიორგი კვირიკაშვილს და თბილისის მერს, ბ-ნ დავით ნარმანიას.

პროექტის განხორციელებას მიესალმებიან: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური;

პროექტი გაშუქებულ იქნა: საინფორმაციო სააგენტოების – „რეპორტიორის; „პირველის“; გაზეთების – „ლელოს“; „საქართველოს რესპუბლიკის“, „სვობოდნაია გრუზიას“; „ნოვოსტი სოჩის“; „მირ კავკაზუს“, „სოვეტსკი სპორტის“, ბრაზილიის გაზეთ „ლანსე“-სა და საქართველოს ტელევიზიის არხების მიერ.

ა.წ. 29 ივლისს თბილისში ჩამოვიდა 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ელჩი, ფეხბურთის ექსპერტი, ბ-ნი ევგენი ლოვჩევი. მან მხარი დაუჭირა ჩვენს პროექტს. აღნიშნულთან დაკავშირებით მ.წ. 31 ივლისს ბრიფინგი გაიმართა საინფორმაციო სააგენტო „რეპორტიორში“.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის – „მერკოსურის“ (არგენტინის, ბრაზილიის, ურუგვაისა და პარაგვაის) ქვეყნებთან კულტურულ-სპორტული თანამშრომლობის განვითარების გარდა „არგენტინის სახლი საქართველოში“ პროექტი ითვალისწინებს საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებასა და ერთობლივი საწარმოების შექმნას, ასევე, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას, რომლის ხერხემალი მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი იქნება.

**ტურნირის დღეებში გათვალისწინებულია არგენტინის ეკონომიკური ფორუმის გამართვაც.**

აღნიშნულთან დაკავშირებით არგენტინის პრეზიდენტის, ბატონ მაურისიო მაკრის დავალებით მათმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა საკითხი და გვთხოვა კონტაქტი გვქონოდა არგენტინის საელჩოსთან ანკარაში. ამასთან დაკავშირებით ა.წ. 26 მაისს თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ შედგა ჩვენი შეხვედრა არგენტინის რესპუბლიკის ელჩთან, ბატონ ხულიან ლუის ტეტამანტთან.

საქართველოში პელეს ვიზიტისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების მაღალ დონეზე ორგანიზების მიზნით (მისი პრესტიჟულობიდან გამომდინარე), სასურველია ღონისძიება განხორციელდეს **საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მისი პირველი პირის პატრონაჟით.**

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მაღალ დონეზე მომზადებისა და ტურნირში ღირსეულად ასპარეზობის მიზნით ტურნირის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია გუნდის შეკრებისა და მომზადების ხარჯები.

ზემოაღნიშნული ღონისძიების შესახებ ა.წ. 4 სექტემბერს ეცნობათ: საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს, ბატონ ტარიელ ხეჩიკაშვილს; საქართველოს პარლამენტის წევრს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ლევან კობიაშვილს.

იმავე დღეს მივმართეთ თხოვნით საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუ“-ს ხელმძღვანელს, ბატონ ნიკოლოზ ჩხეტიანს, რათა ჩაგაყენოთ საქმის კურსში ზემოაღნიშნული ტურნირის, ხუთფიგურიანი სკულპტურული კომპოზიციისა და კულტურული ღონისძიებების დაფინანსების თაობაზე.

თქვენი ბუნებრივი ქველმოქმედებისა და მეცენატობის გათვალისწინებით და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის, ქართული კულტურის, სპორტის, მათ შორის, ფეხბურთის განვითარებისა და შემდგომი პოპულარიზაციის, აგრეთვე საქვეყნოდ აღიარებულ ქართველ ფეხბურთელთა (მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გიორგი სიჭინავა, ანზორ კავაზაშვილი)... ღვაწლის წარმოჩენისადმი თქვენი საყოველთაოდ ცნობილი დაინტერესებიდან გამომდინარე, გთხოვთ ღონისძიებების დაფინანსების საკითხი გადაგვიწყვიტოთ შესაძლო მოკლე დროში.

**გიორგი შოთაძე**

ნახვამდის, ევროპა!

# როცა ურემი გადაბრუნდა



**ევრობასკეტის ჯგუფური რაუნდის ფინიშთან ერთად საქართველოს ნაკრებში ზაზა ფაჩულიას ეპოქა დასრულდა.**

სამწუხაროდ, ასეთია სპორტული ცხოვრება – ადრე თუ გვიან დგება მომენტი, როცა უნდა მიიღო ძნელად მისაღები, მაგრამ გარდაუვალი გადაწყვეტილება და „ჯვაროსანთა“ 33 წლის კაპიტანმაც, რომელიც 13 სეზონის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ეროვნული გუნდის ღირსეული „ყოჩი“ სახე გახლდათ საერთაშორისო სარბიელზე, გუშინ სწორედ ასეთი, ერთი შეხედვით, მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა.

თანაც როდის? – როცა მეოთხე შვილის შეძენით მოგვრილი სიხარული იტალიასთან საბედისწერო მარცხით გამოწვეულმა ინტერნეტშტურმმა შეცვალა.

დიახ, თითქოს სამაგალითო თანამემამულის ფეხის გადაბრუნებას უცდიდნენო, ჩასაფრებულმა კაცუნებმა თუ ქალუკებმა სოციალური ქსელი ააფეთქეს და ისრაელის დედაქალაქში დატრიალებული დრამა, ლამის მთლიანად, ბოლომდე მოუშუშებელი ტრავმით მოთამაშე, უფრო სწორად, ლომივით მებრძოლ ნბა-ს ჩემპიონსა და ოქროს ბეჭდის მფლობელს დააბრალეს.

რას ვიზამთ, ეს ხომ უკვე ნანახი გვაქვს და ნაცნობი ფირფიტაა – საკმარისია, რომელიმე თვისტომი არწივი ძალიან მაღლა აფრინდეს, რომ მის დასანარცხებლად ყველაფერს ვკადრულობთ.

არც ისაა გამორიცხული, მორაგბე „ბორჯღალოსანთა“ ლიდერ მამუკა გორგოძის მსგავსად, ზაზას სანაკრებო კარიერისთვის წერტილის დასმა და უფრო ახალგაზრდა პარტნიორთათვის შანსის მიცემა აღთქმულ მიწაზე გამგზავრებამდე ჰქონდა გადაწყვეტილი და საამისოდ შესაფერის მომენტს ელოდა, მაგრამ ეს ვარიანტი რატომღაც ძნელად დასაჯერებლად გამოიყურება – ფაჩულიას პიროვნული თვისებებისა და წესრიგისადმი ერთგულების გათვალისწინებით, იგი გულშემატკივრებს საამისოდ, ალბათ, თელ-ავივის ფორუმის დაწყებამდე შეამზადებდა.

და მაინც, რადგან იმედი ბოლოს კვდება, რაღაც პროცენტით მაინც დავუშვათ, რომ ემოციების დაცხრომის შემდეგ დაუმსახურებლად შერისხული ღირსების ორდენოსანი ლეგიონერი ვიღაც-ვიღაცეების ბოღმაზე ამაღლდება და ცხელ გულზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ისევ და ისევ ქართული კალათბურთისათვის სასიკეთოდ შეცვლის, მით უმეტეს – მრავალი ანალოგიური პრეცედენტი არსებობს. სამაგალითოდ მხოლოდ ლეო მესის წასვლასა და დაბრუნებას გავიხსენებთ არგენტინის საფეხბურთო ნაკრებში.

**საქართველო – იტალია 69:71**
**(10:27, 20:11, 17:20, 22:13)**

**საქართველო:** დიქსონი – 29, შენგელია – 12, შერმადინი – 11, ფაჩულია – 9, სანაძე – 5, მარკოიშვილი – 3 ქულა.

**მთავარი მწვრთნელი** – ილიას ზუროსი.

**იტალია:** ბელინელი – 15, დატომე – 14, არადორი – 12, ფილიო – 9, ჰაკეტი – 7, მელი – 6, ბილია – 4, კუზინი – 2, ბარლიროსი – 2 ქულა.

**მთავარი მწვრთნელი** – ეტორე მესინა.

ლიტვა – გერმანია 89:72, უკრაინა – ისრაელი 88:64.

**„დ“ ჯგუფის საბოლოო მდგომარეობა:** ლიტვა – 4, გერმანია, იტალია – 3-3, უკრაინა, საქართველო – 2-2, ისრაელი – 1 მოგება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჭიდაობა

# ჭაბუკ „კლასიკოსთა“ „ბრინჯაოს“ ხანა

**ათენში დასრულებულ ჭაბუკ ფალავანთა მსოფლიოს პირველობაზე საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ათი წონითი კატეგორიიდან ხუთში ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მესამე ადგილებზე გავიდნენ ბექა გურული(54 კგ), ოთარ აბულაძე (63 კგ), თემურ ხოზრევანიძე (46 კგ), დავით სოლოღაშვილი (69 კგ) და გიორგი ცოფურაშვილი (76 კგ).**

გურულმა სტარტზე უზბეკ ნამოზ აბდულოევს 8:0 მოუგო, შემდეგ მსგავსი ანგარიშით აჯობა ინდოელ ბაპუ ვასანტ კოლეკარს. მეოთხედფინალში ამერიკელ ტომას ლოვეტთან 0:7-ს აგებდა, მაგრამ შეხვედრის ბედის შემოტრიალება შეძლო და 12:8 გაიმარჯვა, ნახევარფინალში რუსეთის ნაკრების წევრ გერმან დოევთან დამარცხდა (0:9), ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში კი მექსიკელ მიგელ ანხელ უგალდე აგიარს 8:0 მოუგო.

აბულაძემაც ნახევარფინალამდე სამი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან – ებრაელი აბერ ფეტენე (1:1), ხორვატი ლუკა მალობაბიჩი (8:0) და მექსიკელი დიეგო ალბერტო მარტინეზ დე ლეიხა (5:0). ნახევარფინალში ირანელ მუსტაფა კაიედ ხორდეჰთან დამარცხდა (2:4), ხოლო მესამე ადგილისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში ყაზახი რახატ საგიმბაიევის დასამარცხებლად (9:0) 24 წამი იკმარა.

ხოზრევანიძემ ძირითად ბადეში ალი აზოაზის (საუდის არაბეთი, 4:2) მოუგო, მაგრამ მეოთხედფინალში უკრაინელ ვლადისლავ კუჟკოსთან ბრძოლა სამი ქულით დათმო (5:8), დამამშვიდებელში უზბეკ საიდისლომ ტეშაბოევსა (4:1) და ყაზახ ნურზატ კაბდირახიმოვს (8:3) აჯობა და მესამე ადგილი დაიკავა.

სოლოღაშვილმა მოლდოველი ალექსანდრინ გუტუ (8:7) და სომეხი სარგის თათევოსიანი (11:1) კი ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ ოქრომდე ინდოელმა აშუმ არ მიუშვა (2:3), თუმცა, რეპეშაჟის ფინალში ყაზახი გალიმბეკ ნურგალიევი (11:1) დაჯაბნა, ცოფურაშვილმა ზედიზედ სამი მეტოქე დაჯაბნა: სომეხი დავით პოღოსიანი (1:1), ინდოელი დეპაკ დეპაკი (4:1) და პოლონელი შიმონ შიმონოვიჩი (9:0), მერე უნგრელ იშტვან ტაკაშთან ვერაფერს გახდა (0:7). მესამე ადგილისთვის გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი იაპონელ ნაო კუსაკას (4:4) დაუზავდა, მაგრამ ბოლო ქულის უპირატესობით გაიმარჯვა.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს 45 ქვეყანას შორის 48 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა. პირველ-მესამე ადგილებზე რუსეთი (64 ქულით), ირანი (50) და უკრაინა (49) გავიდნენ.

**ლექსო ცინცაძე**



# განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

**სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის(IFAD) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)**

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მიერ დაფინანსებული "სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი" (AMMAR) იწვევს გამოცდილ **ადგილობრივ კომპანიებს** გამოხატონ ინტერესი შემდეგი **დავალების** შესასრულებლად:

## ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე:

### გორის მუნიციპალიტეტში ტირიფონის სარწყავი სისტემის გ-3 გამანაწილებლის რეაბილიტაცია

1. ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლის დავალება განხორციელდება "სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის" (AMMAR) სასოფლო ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების კომპონენტის ფარგლებში. პროექტის (AMMAR) მიზანია საქართველოს სოფელში მცხოვრები ქალების და მამაკაცების შემოსავლების ზრდა და სიღარიბის შემცირება. განვითარების მიზანია კლიმატზე ადაპტირებული სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვში ინვესტირების სტიმულირება მცირემიწიანი ფერმერების შემოსავლების გასაზრდელად და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

2. ამჟამად პროექტი იწყებს **გორის მუნიციპალიტეტში ტირიფონის სარწყავი სისტემის გ-3 გამანაწილებლის რეაბილიტაციას** დეტალური პროექტი და ნახაზები მოიპოვება დეპარტამენტში.

ზემოთაღნიშნული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მიზნით პროექტი გეგმავს ხელშეკრულების გაფორმებას ტექნიკური ზედამხედველობის კონსულტანტ კომპანიასთან (შემდგომში "ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია").

დავალების მიზანია, ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის მაღალი ხარისხის უზრონველყოფა, რომელიც ამასთანავე გულისხმობს სამუშაოების სრულ შესაბამისობას პროექტთან, ტექნიკურ სპეციფიკაციებთან, ნახაზებთან და სხვა საკონტრაქტო დოკუმენტაციასთან და სამუშაოების დადგენილ ვადებში დასრულებას.

წინამდებარე დავალების შესაბამისად დეპარტამენტის ინჟინერ-კონსულტანტის/ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და ინფრასტრუქტურის მესაკუთრის (შპს 'საქართველოს მელიორაცია") წარმომადგენელთან თანამშრომლობით ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ ორგანიზება უნდა გაუწიოს და განახორციელოს პროექტის ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ყოველდღიური ზედამხედველობა. ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია პასუხისმგებელი იქნება სამუშაოების ხარისხისა და მოცულობის საერთო ზედამხედველობაზე, საქართველოს კანონმდებლობისა და სატენდერო დოკუმენტაციის II თავის გ. ნაწილის (ხარისხის კონტროლი) და ბ. ნაწილის (ხარჯების კონტროლი) დებულებების შესაბამისად.

ზედამხედველობისთვის საჭირო მთელი აღჭურვილობა (პერსონალისთვის მანქანების ჩათვლით), ასევე საზომი და საკონტროლო ინსტრუმენტები ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ უნდა უზრუნველყოს.

**3. მომსახურების ხანგრძივობაა 8 თვე და 12 თვე დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი, სულ 20 თვე.** დავალების სავარაუდო დაწყების თარიღია 2017 წლის სექტემბერი.

**4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ფირმის მიმართ:**

1. მსგავსი პროექტებისთვის ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების გამოცდილება;
2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი; საზედამხედველო კომპანიას უნდა ჰქონდეს ტექნიკური ზედამხედველობის გამოცდილება შემდეგ ან მსგავსი ტიპის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, კერძოდ: სარწყავი არხები; სადრენაჟე არხები; კოლექტორები, მილსადენები; ჰიდროტექნიკური ნაგებობები; გზები; ხიდები; სამოქალაქო/სამრეწველო ნაგებობები.
3. ფირმის მიერ შემოთავაზებული სპეციალისტების კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამის დარგში.

ზედამხედველების ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს უმაღლესი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ტექნიკური სპეციალისტებით. შესაბამისი პროფესიული გამოცდილება ნიშნავს მსგავსი ხასიათის სამშენებლო პროექტებში შესაბამის სფეროში მუშაობის ფაქტიურ გამოცდილებას.

ზედამხედველობისა და კონტროლისთვის საჭირო პერსონალი, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს გამოცდილ (1) ჯგუფის ხელმძღვანელს/მშენებელ ინჟინერს, (2) საველე ზედამხედველებს და (3) ტოპოგრაფს.

**1. ჯგუფის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

**2. საველე ზედამხედველის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

**3. ჯგუფის ტოპოგრაფის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

5. ადგილობრივი ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია შერჩეული იქნება კვალიფიკაციის მიხედვით.

6. ინტერესის შემთხვევაში და დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ წერილობით ჩვენ ელ-ფოსტაზე. ინტერესის გამოხატვის წერილი შეიძლება ელექტრონულად გამოგზავნილი იყოს და თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (პროექტის განხორციელების, ვადების, დამკვეთის და ღირებულების ჩათვლით);
3. ინფორმაცია ამ დავალებისთვის შემოთავაზებული პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდელების დეტალური აღწერილობა - CV).

ინტერესის გამოხატვის წერილი ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ **2017 წლის 15 სექტემბრის 12 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზირი №6, მე-3 სართული, ოთახი 309
0159 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 237-80-38/1521
ელ-ფოსტა: Levan.Tskhovrebashvili@moa.gov.ge
cc: Nana.Kupunia@moa.gov.ge

ხსოვნა

# აკადემიკოს მალხაზ ზაალიშვილის გახსენება



**ბატონო მალხაზ, შარშან 5 სექტემბერს, შვებულებიდან დაბრუნებულებს კარი თქვენ გაგვიღეთ, გულზე ხელი გქონდათ მიჭერილი. ექიმებმა ვერ გიშველეს. გული მაშინ გეტკინათ, როცა მეცნიერების განვითარების იმედი გადაგეწურათ.**

**ბატონო მალხაზ, თქვენ გამორჩეული პიროვნება იყავით, თქვენი ნიჭით, სიკეთის კეთებით, მოყვასისადმი თანადგომით. ამიტომაც მიაღწიეთ დიდი მეცნიერის სახელს, დააარსეთ მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი. თქვენ გარშემო შემოიკრიბეთ ნიჭიერი ახალგაზრდები და გზა გაუკვალეთ მათ. აღზარდეთ შესანიშნავი ახალგაზრდა მეცნიერები.**

**ბატონო მალხაზ, მუდამ ახალგაზრდა გვეგონეთ, რადგან ახალგაზრდული ენერგიითა და ენთუზიაზმით აკეთებდით ყველა საქმეს, ჩვენც შრომის სტიმულს გვაძლევდით. ვერ ვეგუებით, თქვენ რომ ჩვენ გვერდით აღარ ხართ, როცა რაღაც გვიჭირს, გნატრულობთ, თქვენ ხომ გამოსავალს უცებ მონახავდით.**

**წახვედით ამქვეყნიდან და დიდ ტკივილთან ერთად უდიდესი სითბო, სიყვარული და იმედი დაგვიტოვეთ. წლებს წლები მიემატება, სევდა და ნოსტალგია არ შენელდება. ასე იქნება მუდამ, სანამ თქვენი საქმიანობის თვითმხილველნი ამქვეყნად იარსებებენ.**

**შევთხოვ უფალს, მარადიულ სასუფეველში დაამკვიდროს თქვენი სპეტაკი სული.**

**თქვენი აღზრდილების სახელით**
**ნელი გაჩეჩილაძე**

# შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

**პროექტის დასახელება:** მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი (SLRPII)

**პროექტის განმახორციელებელი სააგენტო:** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

**ქვეყანა:** საქართველო

**პროექტის ნომერი:** P122204

**კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი:** SLRPII/CS/CQS-06

ფირმა, რომელსაც მიენიჭა კონტრაქტი: Global Procurement Consultants Limited
კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: 7 აგვისტო, 2017 წელი
შესყიდვების მეთოდი: CQS – კონსულტანტების შერჩევა კვალიფიკაციის მიხედვით
კონტრაქტის ფასი: 162,126.10 აშშ დოლარი
კონტრაქტის ხანგრძლივობა: 18 (თვრამეტი) თვე
კონტრაქტის ფარგლებში განსახორციელებელი მომსახურება: მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების საფუძვლიანი შესწავლა/შემოწმება.

# CONTRACT AWARD NOTIFICATION

**Project Name:** Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)
**Project Implementing Agency:** Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
**Country**: Georgia
**Project Number:** P122204
**Contract Reference No**: SLRPII/CS/CQS-06
**Awarded Firm**: Global Procurement Consultants Limited
**Contract Signature Date:** August 07, 2017
**Method of Selection:** CQS - Consultants' Qualification Selection
**Contract Price:** US$ 162,126.10
**Duration of Contract**: eighteen (18) weeks
**Scope of Contract:** Enhanced Procurement Review (EPR) of World Bank-Financed Secondary and Local Roads Program.

# თურქეთი ჭოროხზე ახალ ჰესს აშენებს...

**დაახლოებით ოთხი მილიონი ტონა ბეტონი ჩაისხმება იუსუფელთან ახლოს მდებარე კაშხალში (დამბაში), რომელიც თურქეთის შავიზღვისპირა ართვინის პროვინციაში შენდება.** მშენებლობის დასრულების შემდეგ ეს კაშხალი ყველაზე მაღალი იქნება თურქეთში არსებულ მსგავს ნაგებობებს შორის. **„ბეტონის მოცულობა, რომელიც კაშხლის კონსტრუქციაში ჩაისხმება, იმდენია, რაც 50 ათასი შენობის აგებას ჭირდება“,** — განაცხადა თურქეთის სატყეო მეურნეობისა და წყლის რესურსების მინისტრმა ვეისელ ეროღლუმ მდ.ჭოროხზე მიმდინარე მშენებლობის კომენტირებისას.

**„როგორც კი მშენებლობა დასრულდება, იუსუფელის დამბა თურქეთში ყველაზე მაღალი იქნება — 270 მეტრი, ანუ მსოფლიოში მესამე. პირველი ჩინეთშია (ჰიუვანის 292-მეტრიანი კაშხალი), მეორე კი საქართველოში (ენგურზე, 272-მეტრიანი), — დასძინა მი-**



**ნისტრმა. მისივე თქმით, 4 მლნ. კუბური მეტრის მოცულობის ბეტონით 2500 ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენება შეიძლება, ყოველ სართულზე 150 კვადრატული მეტრი ბინის ფართობით.**

**„ჩვენ კაშხლები ავაშენეთ მურატლში, ბორჩხაში... ისინი, ჭოროხზე აგებული დერინერის ჰიდროელექტროსდგურთან ერთად, ჩვენი ხალხის სამსახურში ჩადგნენ. დღეს კი თურქეთის ყველაზე დაუმორჩილებელ მდინარეს ახალ არტახებში ვკრავთ“,** — განაცხადა ვეისელ ეროღლუმ.

მინისტრის თქმით, როგორც კი იუსუფელის ჰესი ექსპლოატაციაში შევა, მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით 650 ათასამდე ადამიანი იქნება უზრუნველყოფილი. ჰესის საპროექტო სიმძლავრე 540 მეგავატს შეადგენს, წელიწადში 1 827 000 000 კილოვატ/საათის გამომუშავებით. იუსუფელის ჰესი მასზე დახარჯულ თანხას შვიდ წელიწადში გამოისყიდის და ქვეყნის ეკონომიკას 450 მილიონი თურქული ლირის მოგებას მოუტანს.

# დაბა ჯვარში ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა



**გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს.**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დაბა ჯვარში (ხოკოს უბანი), შემოწმების მიზნით გაჩერებულ ცემენტმზიდს, ვიზუალური დათვალიერებით, დალუქული და დაზიანებული ჰქონდა ლუქები. საფუძვლიანი შემოწმების შედეგად დეპარტამენტის თანამშრომლებმა ავტომანქანის მისაბმელში, პირველადი გადამუშავების პროდუქტი - ფიცარი აღმოაჩინეს.

მძღოლმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. შედგა შესაბამისი აქტი, ხოლო ავტომანქანა დაილუქა.

# იცით თუ არა, რომ



• **თოვლის საფარიდან თავის ამოსაყოფად, კანადის ჩრდილოეთში სიმპლოკარპუსის ყვავილები, რომელთა ტემპერატურა გარემოსას 10-25 გრადუსით აღემატება, მას თავისი სითბოთი ალღობენ?**

• **აპრილში** კუნძულ ტასმანიის ტყეებში საშინელი კივილი ისმის ხოლმე, რომლებსაც მყვირალობის ჟამს მტაცებელი ეშმაკები გამოსცემენ, რომელთა მდედრები შეწყვილებისთანავე მამრს აგდებენ და ნაშიერს სამ კვირაში აჩენენ, რომელიც სულ 0,3 გრამს იწონის?

• **ინდონეზიის** კუნძულ ბალიზე დღესასწაულებს საგანგებო კალენდრით — პავუკონით — აღნიშნავენ, რომელშიც მხოლოდ 210 დღეა?

• **ყოველ** წამში ჰაერში 83 ტონა წყალს აფრქვევს მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცათამბჯენის ბურჯ-ჰალიფას გვერდით მდებარე შადრევანი, რომელიც წყლის ჭავლს 152 მეტრის სიმაღლეზე სტყორცნის?

• **მე-16** საუკუნეში, ევროპელთა მიერ კანადის კოლონიზაციის დროს, ინდიელებთან ვაჭრობისას მძივებიან ზონრებს და თახვის ტყავებს იყენებდნენ?

• **იაპონიაში** ყვავილთა დამტვერიანებას მინიატიურული დრონების მეშვეობით მოახდენენ და ამ გზით დედამიწაზე ფუტკრების რიცხოვნობის შემცირებასთან აპირებენ ბრძოლას?

• **2005 წელს**, ჰაერის წვრილდისპერსული აწონილი ნაწილაკებით დაბინძურების გამო, დედამიწაზე 4,2 მილიონი კაცი დაიღუპა, რომელთა ნახევარი ჩინეთსა და ინდოეთში ცხოვრობდა?

• **ჩ.წ.ა.**-მდე მე-5 საუკუნეში ქალღმერთ ათენის პატივსაცემად ათენში აგებული პართენონის ტაძარი კიდევ ორ ათას წელს იდგებოდა, რომ არა ვენეცია-ოსმალეთის ომის დროს თურქთა მიერ იქ მოწყობილი დენთის საწყობი, რომელშიც ზარბაზნის ჭური მოხვდა, რამაც ძეგლის შუა ნაწილი დაანგრია?

• **წყლის** მფილტრავი პირველი მოწყობილობა პირველმა ექიმმა ლუკა ანტონიო პორციომ აღწერა 1685 წელს ტრაქტატში „სამხედრო ბანაკებში ჯარისკაცთა ჯანსაღ პირობებში ყოფნის შესახებ“ და მასში ფილტრაციის რამდენიმე ეტაპია ასახული — წყლის დადგომა და ქვიშაში გაწრეტა?

• **ამერიკის** ისტორიაში კუდიანთა დევნის ყველაზე გახმაურებული პროცესები მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ სალემში 1692-1693 წლებში მიმდინარეობდა, რის შედეგად სიცოცხლეს 19 ქალი გამოასალმეს?

# თითქმის საუკუნენახევრის საკონტაქტო ლინზები

**1887 წელს გერმანიის ქალაქ ბონში თვალის ექიმის ედვინ თეოდორ ზემიშის ერთ-ერთ პაციენტს სიმსივნის გამო ერთადერთ მხედველ თვალზე ქუთუთო მოკვეთეს.**



ოკულისტმა ჰანს ზემიშმა თვალის პროტეზების დამამზადებლებს თვალის დამცავი შუშის საფარველი შეუკვეთა, რათა მას თვალის რქოვანა გარეშე ზემოქმედებისგან — ქარისგან, მტვრისგან, სინათლის სხივებისგან და ა. შ. — დაეცვა.

დაახლოებით ამ ხანებში, შვეიცარიელი ექიმი ადოლფ ფიკი, მხედველობის კორექციის მიზნით, შუშის კონტაქტური ლინზების გამოყენების შესაძლებლობას სწავლობდა, რის შესახებ სტატია 1888 წელს გამოაქვეყნა.

# „თავის ტკივილის“ წამალი...

**მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი სასმელი „კოკა-კოლა“ 1886 წელს ამერიკელმა ფარმაცევტმა ჯონ სტიტ პემბერტონმა გამოიგონა და მისი გაყიდვა თავისი სახლის მახლობლად მდებარე აფთიაქში დაიწყო.**

მე-19 საუკუნეში „კოკა-კოლას“ რეკლამას უწევდნენ როგორც დაღლისა და თავის ტკივილის უებარ საშუალებას. ამჟამად კი „კოკა-კოლა“ მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანაში იყიდება.




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4802; ევრო - 2.9579;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2354;
100 რუბლი - 4.3173; თურქული ლირა - 0.7199;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4603;
1000 სომხური დრამი - 5.1898.

**ამინდი 8 სექტემბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +14 | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +9, | დღე +26 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +13, | დღე +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +9, | დღე +26 |
| თბილისი: | ღამე +17, | დღე +29 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge